საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგიერიც ბოჭდეგუნი სიფცეკვაა, ფეფილებით და ჭიტებით ბუტთის გაფანა ყველა უკარტისიბაგზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 5 იანვარი. 2023 წ. №2 (9534) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

პატრიარქის სულიერი სიმაღლე!

მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი: უფლისმიერი სიყვარულით მოგიდრეკთ ქედსა!..



უნეტარესო და უწმინდესო, მთავარეპისკოპოსო მცხეთა-თბილისისა, კათოლიკოს-პატრიარქო სრულიად საქართველოისა და მიტროპოლიტო ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა, ქრისტეს მიერ ფრიად საყვარელო და სასურველო ძმაო და ჩვენთა მდაბალთა თანამწირველო, თქვენსა ღრმად პატივცემულ უნეტარესობას, ბატონო ილია, უფლისმიერი ძმური სიყვარულით მოვუდრეკთ ქედსა და სიხარულით მივუმძღვარებთ სიტყვასა ჩვენსა!

სიხარულითა მოვიკითხავთ თქვენსა ფრიად საყვარელსა და განბრძნობილსა უნეტარესობასა, რაითა თანაზიარ ვიქმნეთ სიხარულითა გულისათა და დაურღვეველითა საკვრელითა გონთ აღმატებულისა მშვიდობისათა, სულიერისა და სიხარულშემოსილისა ლხინისა ამის, მადლითა ღმრთისათა, კურთხეულისა ოთხმოცდაათისა წელიწადისა შობითგან თქვენისა და ორმოცდახუთისა წელიწადისა დღიდან გამორჩევისა თქვენისა!

წელი ოთხმოცდაათი ამქვეყნიურისა ცხოვრებისა თქვენისა, რომელთა ნახევარი ჰმსახურეთ ვითარცა მწყემსმთავარმან! ვმადლობთ უფალსა, რომელმან უბოძა საჭე უწმინდესისა და ფრიად საყვარელისა ეკლესიისა საქართველოისა ხელთა თქვენთა და ვითარცა თანამოსახელემ ილია თეზბიტელისა, მიირქუთ იგი მტკიცემან და მედგარმან საჭეთმპყრობელმან ჟამსა ძნელბედობისასა, რაისთვისცა სამწყსო თქვენი უმეტესად ჰსასოებს მწყემსსა თვისსა, დაცვისათვის უქცეველად სჯულისა ქრისტესისა!

ამისთვისცა წადიერნი შევიქენით გამოთქმად სიხარულისა საპატრიარქოთა და ძმურთა წერილთა ამათ მიერ, სიხარულისა ქრისტეს დიდისა ეკლესიისა და კერძოდ ჩვენისაცა, თქვენისა დიდებულისა იუბილისდა გამო, მოძღვნად მადლობისა გულთაგან ჩვენთა ყოველთათვის, რაიცა შესწირენით წინასწარმეტყველისებრითა მოშურნეობითა და კუალადცა შესწირავს მეუფება თქვენი, საყვარელსა, ღმრთისმოსავსა, წმინდათმოყვარესა და ღირსებაშემოსილსა ერსა ქართველთასა და რაისაცა ჭეშმარიტნი მოწამენი შევიქენით ჩვენცა, მხილველნი და მცნობელნი პატივისა, რომლითა გმოსავთ სრულიადცა მორწმუნე ერი ესე!

უფალმან ღმერთმან, მეოხებითა ყოვლადუხრწნელისა და დიდებულისა დედისა თვისისათა და შეწევნითა ზეციურისა მფარველისა თქვენისათა მიჰმადლოს ჯანისა სიმრთელე და სულისა სიმტკიცე და სხეულისა ძალი თქვენსა პატიოსანსა უნეტარესობასა, რომელისაცა მიმგებელნი ძმურისა ამბორისა, მარადის დავიმარხავთ შინაგან ჩვენსა გულითადსა სიყვარულსა უფლისამიერსა და კრძალულებასა და პატივსა ფრიადსა!“

იხ. 2 გვ.

ანაკლია: ოდენ ნავსადგური თუ სატრანსპორტო კვანძი?! ③

გაგრძელდება თუ არა მსოფლიო კრიზისი 2023 წელს?! ⑩

იყო დრო, ცუდი ღვინით მოვაჭრეებს მდინარეში ⑨ ასრჩობდნენ!

გილოცავთ

ხორციელ შობას მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი!

მი-ლოცვებში ჩატეული დიდი სინათლე და სიმართლე!

სალომე ზურაბიშვილი:
კიდევ მრავალ წელს, ეკლესიის სათავეში!

„თქვენო უწმინდესობავ, ჩემი და საქართველოს თითოეული მოქალაქის სახელით გილოცავთ 90 წლის იუბილეს. ვუსურვებ საქართველოს, უფლის შეწევნით, კიდევ მრავალ წელს ედგეთ სათავეში საქართველოს ეკლესიას“!

ირაკლი ღარიბაშვილი:
განუზომელია ილია მეორის ღვაწლი ერისა და სამშობლოს წინაშე!

„განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით მინდა მივულოცო დაბადების დღე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს, ჩვენს საყვარელ და საამაყო სულიერ წინამძღოლს!

განუზომელია მისი ღვაწლი ერისა და სამშობლოს წინაშე და ასეთივე განუზომელია მის მიმართ პატივისცემისა და სიყვარულის ჭეშმარიტი გრძნობა ჩვენს საზოგადოებაში.

თითქმის ნახევარი საუკუნეა, მისი უწმინდესობა, როგორც ერის ერთიანობის სიმბოლო, სიკეთითა და მოყვასისადმი სიყვარულით გვავსებს და თავისი კეთილშობილებით, სიმშვიდითა და სიბრძნით ყველა ჩვენგანის დიდი იმედი და დასაყრდენია.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩვენს პატრიარქს დაბადების დღეს!“, – აღნიშნავს საქართველოს პრემიერ-მინისტრი.

შალვა პაპუაშვილი:
მის ღვაწლს არა აქვს ისტორიული პარალელი

„ვულოცავ ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს 90 წლის იუბილეს! ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართული სახელმწიფოს აღორძინებასა და განმტკიცებაში მის ღვაწლს არ აქვს ისტორიული პარალელი.

საქართველოს ეკლესიის მისმა თითქმის ნახევარსაუკუნოვანმა წინამძღოლობამ, განუყოფელი სულიერი კავშირითა და მადლით გადააჯაჭვა ჩვენი ერი, ჩვენს დედაეკლესიას და ჩვენს პატრიარქს.

მის უწმინდესობას ვუსურვებ დღეგრძელობას და კიდევ მრავალი წელი ჩვენი ერის სულიერ წინამძღოლობას“!..

კახა კალაძე:
სიყვარულის, მოთმინების, სიკეთის, სულიერი სიმტკიცის მაგალითი!

„ვულოცავ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს 90 წლის იუბილეს.

ქართველ ერს ჰყავს სულიერი წინამძღოლი, რომელიც სიყვარულის, მოთმინების, სიკეთის, სულიერი სიმტკიცის, სულგრძელობის მაგალითს გვაძლევს. ვუსურვებ ჩვენს პატრიარქს ჯანმრთელობას და მხნეობას!

პატრიარქი 90 წლისაა

ილია მეორე, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი, 1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში დაიბადა. მისი მშობლები, გიორგი ღუდუშაური-შიოლაშვილისა და ნატალია კობაიძე ძალიან მორწმუნეები იყვნენ. 1952 წელს ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში განაგრძო.

1957 წლის 16 აპრილს სასულიერო აკადემიის მე-2 კურსის სტუდენტი ილია მეორე საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ III-ის ლოცვა-კურთხევით თბილისის წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ბერად აღკვეცეს და მას სახელად ილია უწოდეს. მოსკოვის სასულიერო აკადემია ილია მეორემ 1960 წელს პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

1963 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მაშინდელმა კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ არქიმანდრიტი ილია ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხა, 1967 წელს კი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი გახდა. ორი წლის შემდეგ ილია მეორე მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. მან სოხუმში 11 წელი დაჰყო.

საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის დავით მეხუთის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა ილია მეორე პატრიარქად აირჩია. ილია მეორის ინტრონიზაცია 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა.

თორნიკე რიჭვაძე:
დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ!

„დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარესს, ილია მეორეს 90 წლის იუბილეს.

მადლობა მას ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისთვის. დღეგრძელობას და ჯანმრთელობას ვუსურვებ მის უწმინდესობასს..“

იერუსალიმის პატრიარქი:
უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, მოგანიჭოთ უხვად მისი მადლი!..

უნეტარესო, მცხეთისა და თბილისის მთავარეპისკოპოსო და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქო, ჩვენი უმდაბლესობის, ქრისტე ღმერთში ფრიად საყვარელო ძმაო და თანამწირველო, უფალო ილია, თქვენს სასურველ უნეტარესობას, უფლისმიერი ძმობით ვეხვევით და განსაკუთრებული სიხარულით ვესალმებით.

ამ ჩვენი საპატრიარქო და ძმური წერილით, თქვენის ფრიად საყვარელი და სასურველი უნეტარესობისადმი გამოვთქვამთ მხურვალე მილოცვებს, დაბადების 90 და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საყდარზე თქვენი აღსაყდრების 45 წლისთავთან დაკავშირებით.

ვლოცულობთ, ყოვლადწმიდა და ცხოველსმყოფელი კიდევ დიდხანს აძლიერებდეს საქართველოს მისი ღვაწლი და ლოცვა!..“

საფლავის წინაშე, რათა მისგან, მადლთა მომცემელმა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ, მოგანიჭოთ უხვად მისი მადლი, რათა გააგრძელოთ თქვენი პატრიარქული სამწყემსო მსახურება, ღვთივსათნო და ქველი საქმეების გამდიდრებით, ქრისტესმოყვარე თქვენი ერის სასიკეთოდ და ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიების ერთობის დასაცავად „საკრველითა მით მშვიდობისაჲთა (ეფეს 4.3)“, რათა იგალობებოდეს და იდიდებოდეს “ყოვლად პატიოსანი და დიდადშვენიერი სახელი მისი, მამისა და ძისა და სულისა წმინდისა“ საუკუნოდ. გემშვიდობებით ყოვლადსაკრძალი და ღვთისშემწყნარებელი საფლავის ამბორით“!..

რომის პაპი:
ღვთისმშობელმა დაგიფაროთ!

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრად აღსაყდრების 45-ე წლისთავთან დაკავშირებით და 90-ე დაბადების დღის აღსანიშნად, გულწრფელ სურვილებს ვუგზავნი თქვენს უწმინდესობასა და უნეტარესობას და ვლოცულობ, რომ ყოვლისშემძლე ღმერთმა გიწყალობოთ ჯამრთელობა და სულიერ ნიჭთა სიუხვე თქვენი მრავალწლიანი მწყემსური მსახურების გზაზე.

მაშინ, როდესაც თქვენს მრავალწლიან უფლის მსახურებას თან სდევდა მრავალგვარი გამოწვევა და თქვენი ქვეყნის მნიშვნელოვნად გარდასახვა, ეკლესია, რომელიც მინდობილი იყო თქვენს მზრუნველობაზე, ყოველთვის სულიერად იზრდებოდა და ყვავდებოდა. ეს მახსენებს მოციქულის სიტყვებს: „მწამს, რომ თქვენს შორის კეთილი საქმის დამწყები კიდევაც აღასრულებს მას იესო ქრისტეს დღემდე“. (ფილიპე 1:6). მაშასადამე, ვლოცულობ, რომ ჩვენმა ზეციერმა მამამ მოგმადლოთ ძალა, რათა განაგრძოთ ქრისტეს სახის ძიება, ვინაიდან თქვენ მოწმობთ სამყაროსადმი მის სიყვარულს და იბრძვით სამწყსოს და მთელი ქართველი ხალხის სასიკეთოდ.

გთხოვთ, იცოდეთ, რომ მე განსაკუთრებით ვაფასებ თქვენს მრავალფეროვან მუსიკალურ კომპოზიციებს, რომლებსაც ხშირად ვუსმენ, როგორც ლოცვისთვის მომზადების ღირებულ საშუალებას. ეს ჩემთვის ძალიან ძვირფასია!

ძვირფასო ძმაო, ვლოცულობ, რომ ღვთისმშობელმა დაგიფაროთ თავისი კალთის ქვეშ, გეხვევით და გისურვებთ მშვიდობას, ასევე ვთხოვ თქვენს უწმიდესობასა და უნეტარესობას, რომ მომიხსენიოთ თქვენს ლოცვებშიც!

დემურ გიორგელიძე: აღმოსავლეთის დიდი ქვეყნების დაინტერესება თუ არ იქნება, მაშინ ააგონ ანაკლიის პორტი, დასხდნენ მერე და ითევზაონ!!..

ანაკლია: ოდენ ნავსადგური თუ სატრანსპორტო კვანძი?!

„ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი როცა კეთდებოდა, შევარდნაძე არაერთხელ იმყოფებოდა ამერიკაში ავადმყოფობის მოტივით, სინამდვილეში, ბაქო-ჯეიჰანისთვის იყო ჩასული. ახლაც, როცა ანაკლიის მასშტაბურ პროექტს ახორციელებს ჩვენი ხელისუფლება, ამას სერიოზული მუშაობა სჭირდება. ჩინეთის, ყაზახეთის, აღმოსავლეთის ქვეყნების დაინტერესება თუ არ იქნა, მაშინ ააგონ ანაკლიის პორტი, დასხდნენ მერე და ითევზაონ“, – აცხადებს for.ge-სთან საუბრისას ანალიტიკოსი დემურ გიორგელიძე.

– ქართველი ანალიტიკოსების ნაწილი მიიჩნევს, რომ 2022 წელს საქართველო გადაურჩა საომარ პოლიგონად გადაქცევას და სწორედ ეს იყო ამ წლის მთავარი მიღწევა. თქვენ რას მიიჩნევთ საქართველოსთვის მნიშვნელოვან მოვლენად 2022 წელს?

– საქართველოში ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, 2021 წელმა ჩაიარა უზარმაზარი დაპირისპირების ფონზე დასავლეთსა და რუსეთს შორის, რომელმაც ასახვა ჰპოვა უკრაინის მოვლენებში. ამიტომ ეს არის ნომერ პირველი თემა, გავლენა და ნიშანი 2022 წლისა, მას ვერაფერი შეედრება. რა თქმა უნდა, საქართველომაც მძიმე პერიოდი გადაიტანა. ერთი მხრივ, პოლიტიკური ზეწოლა, მეორე მხრივ, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტისგან მოულოდნელი სარგებლობა, როცა ასი ათასობით ადამიანი შემოვიდა, მათ თავიანთი გადმორიცხვების უზარმაზარი დანაზოგები გააკეთეს საქართველოში და ფულის უზარმაზარი მასა მივიღეთ ჩვენს ქვეყანაში. მხოლოდ ერთვნული ბანკის მონაცემებით რუსეთიდან გადმორიცხვებმა წელს მილიარდ შვიდასორმოცდაათ მილიონ დოლარზე მეტი შეადგინა. ბუნებრივია, ეს საქართველოს ეკონომიკას დაეპკურა, რამაც უზარმაზარი ბიძგი მისცა ჩვენს ეკონომიკას, რომ თავისი პრობლემების გამო კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში არ ყოფილიყო. მით უმეტეს, პანდემიის მძიმე ორი წელი იყო გასული.

– მხოლოდ საქართველომ მიიღო სარგებელი რუსეთიდან შემოსული ადამიანების ხარჯზე?

– მხოლოდ ჩვენ არ მივიღეთ სარგებელი ეკონომიკის თვალსაზრისით და ფინანსურად, არანაკლები, თუ მეტი არა, სარგებელი მიიღო სომხეთმა, მისი მთლიანი შიდა პროდუქტი 22%-ით გაიზრდება, უზარმაზარი ზრდა აქვთ ამ მხრივ. ტაჯიკეთმა შედარებით ნაკლებად მიიღო სარგებელი ამ მოვლენებისგან. ეს არის ძირითადად ის სამი ქვეყანა, სადაც მიაწყდნენ რუსეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიდან ჩამოსული ადამიანები, რომლებმაც გადაწყვიტეს, რომ არ უნდა დარჩენილიყვნენ თავიანთ ქვეყანაში. საქართველოს ხელისუფლებამ ამ დადებითი შოკის გამო გაიადვილა მდგომარეობა, რადგან მისი არაერთი სექტორი – ეკონომიკა, პოლიტიკა ასეთ შედეგს ვერ დაძლევდა. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც დღეს მთავრობა ატარებს, წამგებიანია. იგი არ ქმნის და არ ავითარებს საკუთარ წარმოებას ქვეყანაში. იმ კონკურენტულ სფეროებში, სადაც ჩვენ შეგვიძლია ძალიან კარგი შედეგი მივიღოთ, არ ვითარდება სამეცნიერო ტექნიკური სფეროებისთვის აუცილებელი ეკონომიკის სექტორები, სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო დამუშავების თვალსაზრისით მიზერულ თანხებს იმეტებენ.

– ის ფაქტი, რომ ანაკლიის პორტი თურმე არ დავიწყებია ჩვენს ხელისუფლებას და სახელმწიფოს თანამონაწილეობით აშენდება, არ შეცვლის ჩვენი ქვეყნის პერსპექტივას?

– ანაკლიის პორტი არის ერთ-ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის პროექტი საქართველოსთვის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ წინა პერიოდში ჩატარებული ტენდერის დროს დაუშვა დანაშაული. რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო პრემიერი, იმ დროს კლანურ ინტერესებს შეეწირა ეს უზარმაზარი პროექტი. ვისაც არც პროექტი გააჩნდა და არც ფული, ის გამოჩნდა მაშინ ანაკლიის პროექტში (იგულისხმება მამუკა ხაზარაძის ინტერესები). ამასობაში გადაიყარა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათობით მილიონი ლარი. არადა, ეს პროექტი საერთოდ არ საჭიროებს საქართველოს ბიუჯეტიდან ფულის ხარჯვას. როგორც ადრე ვსაუბრობდით, არსებობს ბრწყინვალე პროექტი სპარტაკ ერაგიასი, რომელსაც მთავრობა იგნორირებას უკეთებს.

– საწყისი პროექტი, რომელიც საქართველოს ტრანზიტული ჰაბის როლს წარმოაჩენდა, უნდა დასრულებულიყო 2022 წელს, თუმცა ეს არ მოხდა. თუ ფლობთ ინფორმაციას, ანაკლიასთან დაკავშირებით რომელ პროექტზე მუშაობს საქართველოს მთავრობა?

– რა პროექტს აკეთებს საქართველოს მთავრობა, ვერ გეტყვით. რაც შეეხება სპარტაკ ერაგიას პროექტს, მე ამ პროექტში მისი ხელმძღვანელის, ბატონი სპარტაკის თხოვნით მიწვეული ვიყავი ფინანსურ-ეკონომიკური მხარეების მოსაგვარებლად, ძალიან ღრმად ვიცნობ ამ პროექტს. ანაკლიის პორტი არ ჰქვია იმ პროექტს, იმ ბრწყინვალე პროექტში საუბარია ანაკლიის სატრანსპორტო კვანძზე, ეს არის მთელი არსი, რადგან იქ პორტიც იქნება, აეროპორტებიც იქნება, რკინიგზაც, საავტომობილო ტრანსპორტიც და ახალი ტრანსპორტიც, რომელიც ე.წ. პნევმოტრანსპორტია. აქ შეიძლება ყველაფერი განვითარდეს. მაინცდამაინც აქცენტი, რომ თანხებს საქართველოს ბიუჯეტიდან დავხარჯავ, არასწორია. ვერ დახარჯავ ვერაფერს, რადგან ეს გიგანტური პროექტია და მას საქართველოს ვერანაირი ბიუჯეტი ვერ ეყოფა. მოდით, უხეშად ვიტყვი, საქართველოს ბიუჯეტს ვინც ეპოტინება, ყველას უნდა ამ ბიუჯეტიდან ფულის მოპარვა. ანაკლიის პორტის აგებას რა აზრი აქვს, თუ ყაზახეთ-აზერბაიჯან-საქართველოს მონაკვეთებზე, აქტაუს პორტის მოდერნიზაცია არ მოხდა, თუ სარკინიგზო ქსელები, რომლებიც აკავშირებს ამ ყველაფერს, განახლებული ხაზებით და ინფრასტრუქტურით არ შეხვდა, სად წავიღებთ ამ ტვირთებს, რომელსაც, დავუშვათ, მოიტანენ ანაკლიის პორტში? ვერსად ვერ წავიღებთ, რადგან იმ მოცულობის ტვირთებზე არ არის გათვლილი ეს პორტი.

– საქართველოს ხელისუფლებამ ჰოლანდიურ კომპანიასთან ერთად შეისწავლა საქართველოს პორტები, არის გარკვეული მიგნებები და დასკვნები... პარალელურ რეჟიმში ფოთის და ბათუმის პორტების დატვირთვა ტვირთების გადანაწილებას არ უზრუნველყოფს?

– ფოთის პორტი არაგანვითარებადი პორტია თავისი რელიეფის გამო. ის თავის ფუნქციას შეასრულებს, რაც აქვს, მეტი მას არ შეუძლია. ბათუმის პორტიც, ასევე, გარკვეულად, შეზღუდულია. ანაკლია არის ბრწყინვალე ადგილი, თუკი ამას გონივრულად გააკეთებს ხელისუფლება. თუ ეს ისევე გაკეთდება, როგორც წინა პრემიერ-მინისტრმა გააკეთა, მაშინ ეს ყველაფერი სავალალოდ დასრულდება.

– ხაზარაძე ამ პროექტიდან გასულია, ვინაიდან საქართველოს მთავრობამ 2020 წლის იანვარში ანაკლიის განვითარების კონსორციუმთან არსებული ხელშეკრულება გაწყვიტა. ახალ პროექტში არ არის გათვალისწინებული სპარტაკ ერაგიას ინტერესები?

– არ ვიცი, პრემიერმა გააკეთა ზედაპირული განცხადება, მას არ დაუკონკრეტებია, რაზეა ლაპარაკი, არც ეკონომიკის სამინისტროდან უფლებამოსილი პირი არ გამოსულა და დეტალურად არ უსაუბრია, რა პროექტზეა საუბარი. არ არის ეს ლოკალური, ერთი ქვეყნის გასაკეთებელი პროექტი. ანაკლიის პორტზე საუბარი ყაზახეთსა და აზერბაიჯანში გაწეული მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია. მომავალში ეს უნდა მოემსახუროს აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთ-ერთ არსებით სატრანსპორტო არტერიას. ამიტომ ცოტა უფრო პროფესიონალურად უნდა ამ საქმეს დანახვა.

– კულუარული ინფორმაციით, დღესაც ჩინელებზეა საუბარი, რადგან, დიდი ალბათობით, საერთაშორისო კონკურსი რომ გამოცხადდება, სწორედ ჩინელების ინტერესი იქნება გადამწყვეტი.

– რა თქმა უნდა, ჩინეთის ინტერესი გაიზარდა სამხრეთ კავკასიის მიმართ, ერთ-ერთი მთავარი მოტივი ის არის, რომ ჩინელები სამხრეთ კავკასიას ხედავენ, როგორც ევროპაში უმოკლეს გზას. ჩინეთის, ყაზახეთის, აღმოსავლეთის ქვეყნების, დიდი ქვეყნების ინტერესი თუ არ იქნა, მაშინ ააგონ ანაკლიის პორტი, დასხდნენ მერე და ითევზაონ მისი სატრანსპორტო სატვირთო მისადგომებიდან. თუ საქართველოს მთავრობა ანაკლიის სერიოზულ პროექტზე საუბრობს, მაშინ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რა ურთიერთობაა ამ მხრივ აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან, ყაზახეთის ხელისუფლებასთან, ირანთან, ჩინეთთან, პაკისტანთან და ა.შ.

– სამომავლოდ თუკი სპარტაკ ერაგიას პროექტზე შეჩერდება ყურადღება, ინვესტიციებს საიდან ელით?

– საქმე იმაშია, რომ, როგორც წესი, ასეთი დიდი პროექტი კონსორციუმის დონეზე კეთდება, კონსორციუმი კი თავად იძიებს ფულს.

მოდით, უხეშად ვიტყვი, საქართველოს ბიუჯეტს ვინც ეპოტინება, ყველას უნდა ამ ბიუჯეტიდან ფულის მოპარვა. ანაკლიის პორტის აგებას რა აზრი აქვს, თუ ყაზახეთ-აზერბაიჯან-საქართველოს მონაკვეთებზე, აქტაუს პორტის მოდერნიზაცია არ მოხდა, თუ სარკინიგზო ქსელები, რომლებიც აკავშირებს ამ ყველაფერს, განახლებული ხაზებით და ინფრასტრუქტურით არ შეხვდა, სად წავიღებთ ამ ტვირთებს, რომელსაც, დავუშვათ, მოიტანენ ანაკლიის პორტში? ვერსად ვერ წავიღებთ, რადგან იმ მოცულობის ტვირთებზე არ არის გათვლილი ეს პორტი.

„ბლეხი“. მხატვარი შალვა ძნელაძე

ღღეგბ სამნარს გლეხსს!..

1 სურათი.

ბაზრის ალაყაფთან ხალხი ირეოდა. ყურს ჭრიდა სხვადასხვა ჯურის შეძახილები, გნიასში ლანძღვაც ისმოდა შიგადაშიგ.

უეცრად შემზარავად დასჭყივლა „გაზ 24-ის“ „მუსიკალურმა“ სიგნალმა და ჩანთადაბერილი დიასახლისები ბაზრის ბათქაშიან კედელს მიარეკა.

მძღოლი ცქვიტად, ხალისიანად გადმოვიდა მანქანიდან, თვალი ჰკიდა მანქანასა და კედელს შორის დარჩენილ ინტერვალს, ფეხით მოარულთ თუ ეყოფათო, და მეორე მხრიდან გაუღო კარი გვერდით მჯდომ მამაკაცს. ის რომ კაცი იყო, მერე დადგინდა, როდესაც სალონიდან ხვნეშითა და ვაივაგლახით გადმოგორდა, თორემ გარედან მარტო მუცელი მოუჩანდა, საბერველივით რომ ადი-ჩადიოდა რიტმულად...

მძღოლს ვეებერთელა პირდაბჩენილი ჩანთა ეკავა ხელში და ხან მარჯვნიდან შემოურბენდა აჩოჩქოლებულ ხალხში ძლივძლივობით მიმავალ „ხაზეინს“, ხან მარცხნიდან შემოურბენდა, ხან – მარჯვნიდან.

– რა ღღს? – ამოიხროტინა „ხაზეინმა“, ასე, შვიდკილოგრამიან გოჯს, შნოიანად გატრუსულ-გასვლიპინებულს, კოტიტა თითები ყურებში ჩაავლო და ასწია.

– შვიდი უნდა მაგას! – თითები უჩვენა გამყიდველმა.

– არფერ დუკლებ? – იკითხა მას შემდეგ, გოჯს რომ ჩანთის ხახაში გადაუძახა და პასუხს არც დალოდებია, ისე მიუთვალა შვიდი თუმანი.

ახლა ქათმებისკენ აიღო გეზი. ძაძამოსილ, გალეული დედაბერს მშვენიერი ვარიები ეწყო წინ და მუშტარს ეპატიჟებოდა.

– რა მოგცე შვიდვეში? – ამოიქშიტინა საბერველმა.

– თუმანნაკლებ არცერთი არ იქნება!..

– სისხლ წოვთ რა ხალხს, სისხლ!

– რატომღაც ყველაზე უსისხლხორცო ადგილას, ფაშვზე დაისვა ხელი სქელუამ და ფული უხეშად ჩაუჭუჭნა ხელში. ახლა ყველეურს მიაპყრო მზერა.

...მანქანა ყრუ ზუზუნით აუყვა ვარაზისხევს. უკანა სალონი და საბარგული გამოტენილია ნაირ-ნაირი სურსათით: ეს რაჭული ლორი ვარო, ეს ცხვრის დუმაო, ეს ღორის სუკებიო, საიდანღაც შავი ხიზილალას ლურჯი კოლოფიც აჭყეტდა თვალს, გრაგნილად დახვეული თაროი რომ ეხატა ზედ. თხილი, მიწის თხილი, ვაშლი, კომში, შუშა კიტრი... არც ღორს ჩამოთვლა!

უეცრად სქელუამ გაშლილი ხელის მტევანი იტკიცა შუბლში და ამოიხროტინა:

– ტყლაპტყემალ რო დაგვავიწყდა!

– როგორ სიმონიჩ?!

– სვლას უკლო მძღოლმა ტყემალი თუ არ ისავქენით ტყლაპის, ისე ამ გოჯს რა შემაჭმევს!.. უკან გაბრუნდნენ. გზად ისიც გაიხსენა, ნადუღი, პიტნა, ნიორი რომ დავიწყნოდათ. არადა, რა გემო უნდა ჩაეტნიათ უპიტნო ნადუღისთვის ან შემწვარი გოჯი თუ ბატკანი ვითარ ეთქვლიფათ დანაყილი ნივრის გარეშე!

მე-2 სურათი.

თავის კარმიდამოს შემოუარა გლეხკაცმა. თავისთვის რაღაც სიმღერას ღიღინებს...

ეს ორი დღეა, ერთი ფიქრი აეკვიატა და მოსვენებას არ აძლევს:

„რას გადაეკიდა ის ქალაქელი ბიჭი ჩემსას! რავა ტვინი ამოუღო ჩიჩინით – სოფელში რა ყრია, აქ ცხოვრება ქაჯობააო. სულიც რომ მიგდიოდეს კაცს, ვერც „იკრას“ იშოვი და ვერც ზეთისხილსაო. „იკრას“ ხიზილალას ეძახის ნასტავლი ხალხი, მარა ეს ზეთისხილი რა ჯანდაბაა ნეტავ?! აქ ცხოვრებას რა გემო აქვსო...

– თოხის ტარს დაეყუდა და ჭალას გახედა – აიმ ღელეში საჩხრეკი ბადით დაჭერილ და ნიგვზის ფოთლებში საგანგებოდ შეხვეულ პაწაწინა ვენახა თევზებს რომ მარილს მოაფცქვევს, ნაღვერდალში შეთუთქავს და თავის ფხებიანა შეახრამუნებს, მაშინ გეიგებს რა გემოც აქვს სოფლად გატარებულ ზაფხულის დღეებს... ოღონდ, ჯერ ბატონო, ფეხისგულები კოლგოხებზე სირბილით უნდა დაებეგვოს და, ნარეკლებით, ნალივით მოეჭედოს!.. ჯერ საადრეო მსხალზე უნდა შეისწროს ალმასხანა მემინდემ და, იქიდან ფაცხაფუცხით ჩამოცოცებულს, მუცლის კანი დაკაწრული უნდა ჰქონდეს, სისხლგამოჟონილი!.. ოღონდ, სანამ ჭლაკვით, ქინძითა და ნიგვზით შეკმაზულ მინდვრის მხალსა და თონეში ამოკვირიჩხინებულ ცხელ-ცხელ მჭადს ცოლიკაურიან ჭინჭილას დააყოლებდეს, ჯერ ნიკორა ხარის ნაფლოქვარში ჩაგუბებულ წვიმის წყალს უნდა დაეწაფოს, რიკტაფელას თამაშით გასავათებული!“..

ამ ფიქრებში გლეხკაცს ისე უჩუმრად წამოეპარა მაღალი სამხრობაცა და ცოლშვილიც, არაფერი გაუგია.

* * *

ჩემი თაოგისთვის ამ ოჯახს კონკრეტული მისამართი აქვს და გვარ-სახელი: მელანო, ყრმა აკაკი„ ამბაკო და მამამისი. ისიც ითქვას ბარემ, რომ ყველა იმდროინდელი სოფელი ემსგავსებოდა როგორღაც სავანეს; ყოველ ჩვენგანში ცოცხლობდა თითქოს ცოტ-ცოტა აკაკიც, ამბაკოც, ამირანიც და ნაზიბროლაც... და არავითარ შემთხვევაში – ბაგრატი!..

ყოველი ჩვენგანი ცხოვრობდა იმ ქოხში, რომელშიც გაძიძავებული შვილის ერთი წუთით მოსანახულებლად შესულ როსტომ წერეთლის ქალბატონს, სოლომონ პირველის შვილიშვილს, ეკატერინე აბაშიძე-წერეთლისას, თვალები აუწვა კვამლმა...

დღეს, კვამლი კი არა, ერთმა წვეთმა წყალმა რომ გამოჟონოს მილში, უმალვე ვგანგაშობთ და აურზაურს ვტეხთ, თბომეურნეობაში ვრეკავთ შეშფოთებულნი.

ნაფლოქვარში ჩაგუბებული წყალი კი არა, ქლორი რომ გამოჰყვება წყალს ახლადგაღებული ონკანიდან, სული გვიწუხს – როდის დაიწმენდსო...

ჩვენს პირმშოთ ნარ-ეკლებით რა მოუჭედავს ფეხისგულებს, აკვნიდანვე რომ არ გაუძვრიათ ფეხთ საბოები თუ მოკასინები! საადრეო მსხალი როგორ დაუფხაჭნ-დაუსისხლიანებთ მუცლის კანს, თავის დღეში რომ არ ასულან ხეზე!.. უმალ კედელზე ავლენ და ხეზე – ვერა! კოჟრები გაუჩნდებათ ცხელ ასფალტზე ბოტასებით მოარულთ, მაშ რა იქნება!..

– მაისის ცვრით დანამულ კოინდარზე რომ ფეხშიშველა ირბენ, აი კოჟრის უებარი წამალი! თბილი წყლის მაგიერ თოვლით რომ დაისრეს ცხვირ-პირს, აი სურდოს წამალი! სოფლის სკოლიდან მომავალი რომ ხან გაგუასაგზალას წაეპოტინები, ხან კინკარუჟას და ხანაც – კუნელის ეკლიან ტოტებს, ა ბატონო, ნაირ-ნაირი ვიტამინი!..

* * *

როდესაც წერილში ვინმეს აქებ ან აძაგებ, იმედი უნდა იქონიო, რომ უხილავ ოპონენტთა მთელი დასი დაკომპლექტდება უმალვე და უსიტყვოდ, გულში გეკამათებიან, გეპაექრებიან, გედავებიან. ახლაც ვიცი, მავანი გაიფიქრებს: დღეს, ბატონო, აღარც სოფელია ისეთი, თქვენ რომ გახსოვთო; გადასხვაფერდა და გადაგვარდაო. კი, შესაძლოა, ისეთი აღარ იყოს, კი არადა, ნამდვილად აღარ არის ისეთი, 30-40 წლის წინათ რომ გახლდათ, მაგრამ გადაგვარებით, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ არ გადაგვარებულა. „ისეთი აღარაა“-ს ეშველება როგორმე, გადაგვარებულს – ვეღარ!.. უკვე გადაგვარებული რომ გვეგულებოდეს ჩვენი ბავშვობის ნავსაყუდარი, კალამსაც აღარ შევაწუხებდით.

იდგა გადაგვარების გზაზე? რასაკვრველია იდგა! რამ დააყენა ისევ სასიცოცხლო გზას?

ბევრმა რამ, მათ შორის, უპირველესად, ჩვენი სახელოვანი მწერლობის მხარდაჭერამ; შემაშფოთებლად ამოხეთქილმა პოეტის დროულმა ეჭვმა – „ვაითუ ადგეს ქართველი გლეხი და სოფელს ზურგში ჩასცეს მახვილი!“, ან მეორე პოეტის ძნელად ასახდენმა, ნალოლიავებმა ნატვრამაც – „სულო მფარველო ამ პატარა კურთხეულ ქვეყნის, ისეთ საქართველოს მომასწარ კიდევ, ბაზარში იდგეს ქართველი გლეხი და ნამდვილ ღვინოს ჰყიდდეს!“.

ჭეშმარიტად ფხიზლად უნდა იყოს კაცი, ამ უპირველესი და უსისხლხორცესი პრობლემის მიმართ! დიახ, უპირველესის და უსისხლხორცესის, რადგან სოფელი იყო და კვლავაც უნდა იქნეს ერის მარჩენალი. და არა მარტო მარჩენალი, ერის ეთიკური ნორმების სალაროც, მისი ზნეკეთილობის სამჭედლო და საბაირახტრო! ამიტომაც გვმართებს ყოველ ჩვენგანს უდიდესი ძალისხმევა, ღვწა და ოფლის ღვრა, საქმიანი წვლილი და არა მხოლოდ მცდელობა, რათა საბოლოოდ შემობრუნდეს ქართველი გლეხი, სოფლის განსაგმირავად შემართული მახვილი დროულად დაუშვას და ის აკეთოს, რისთვისაც ჰქვია მას ეგზომ ღვთაებრივი, კეთილხმოვანი და ნამუსიანი სახელი-გლეხკაცი! თორემ, უგლეხკაცოდ, ვეღარც მუშას გაესაძლისება, ვეღარც ინტელიგენტს, ვეღარც, საერთოდ, ქალაქს და, ბოლოს და ბოლოს, ვეღარც საქართველოს!..

* * *

მოხდა ისე, რომ ორმოცდაათიანი წლების დასასრულიდან, ჩვენს გლეხს საოცრად გაეხსნა ხელ-ფეხი იოლი ცხოვრებისაკენ.

ამას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა, რომელთა შორის, სუბიექტურს უკანასკნელი ადგილი როდი ეკავა – ვისაც როგორ სურს, ისე აკეთოს, ვისაც სადაც სურს, იქ ასაღოს! და აი, გლეხი ნელინელ განუდგა საუკუნეობით შემუშავებულ თავისსავე სტერეოტიპს, ნელინელ ჩამოიშორა და განიძარცვა ყოველივე იმისაგან, რაითაც იგი ქართველი გლეხი გახლდათ და არა, ვთქვათ, ჰოლანდიელი ან იტალიელი.

თხუთმეტიოდე წლის წინათ ერთი ჩემი ახლო ნათესავი თავის მშობლიურ სოფელს (ანუ ჩვენს სოფელს) სტუმრად ეწვია. კაცი რომ მშობლიურ სოფელს სტუმრად ეწვევა, ან თვითონ არის უვარგისი, ან...

მამიდაშვილმა დაუძახა ვახშმად, თავმჯდომარე და ბუღალტერი ჰყოლოდა მიპატიჟებული. აქეთ ჩვენც შევუერთდით და პურისჭამაც გაჩაღდა. მართალია, სწავლა-განათლება არ აკლია, და იქნებ ამიტომაც, ნამეტანი ცუდი ზნე სჭირს იმ ჩემს ნათესავს – თუ რაიმე არ მოეწონება, სრულიად დაუფარავად, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე ამბობს ხოლმე და სულაც არ ვარაუდობს იმას, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს.

ეტყობა, არ მოუვიდა ღვინო ყუათში და უსაყვედურა მასპინძელს: ცხონებულმა მამაშენმა სახლ-კარი და ჯურ-მარანი სანაქებო დაგიტოვა, ცოლიც გამრჯე და ხელმადლიანი გყავს შინ, თვითონაც ხომ ხელოსანი კაცი ხარ და შაქრიანი ღვინის ცოდვილს რატომ არ შეეშვებიო!..

ხომ არ გგონიათ, ფიცი-მტკიცი დაუწყო, გეჩვენება, თორემ, სუფთა ციცქის წვენიაო! გაღიმებულმა მეინახეთ თვალი ჩაუკრა და მიუგო: სუფთა ღვინო თუ გინდოდა, ამას და ამას უნდა სწვეოდიო და დაუსახელა მეზობლის კაცი, რომელიც მთელ რაიონშია ცნობილი სიღარიბით და... ბევრი შვილით!.. შვიდი შვილის მარჩენალ ქვრივს მდიდრულად ცხოვრება სულაც არ მოეთხოვება და იმანაც გულმწყრალად უთხრა: არქონობის გამო კაცის დაცინვა რა საკადრისიაო!.. მასპინძელმა შემწვარი ბატკნის კანჭი ცივად დააგდო თეფშზე და მთელი სერიოზულობით დასძინა: სიმართლე გითხარი, ჩემო ძმაო, მაგას შემოდგომით შაქრის ფული არა აქვს ხოლმე და, იძულებულია, სუფთა ციცქის წვენი ჩაასხასო!

შემაძრწუნებელიც გამოდგა ეს ინფორმაცია მისთვის და მრავლისმეტყველიც – ხშირად პატიოსნებასთან ღარიბი კაცი უფროა წილნაყარი! თუმცა, ერთიც არის – როგორი სათქმელია შვიდი შვილის პატრონზე „ღარიბი“!

მე თუ მკითხავთ, ღარიბი მასპინძელზე უფრო ითქმის (ხოლო მოსახლეობის უმრავლეობა დღეს სწორედ მისი ნირითა და მორალით ცხოვრობს), რადგან, მამაპაპური ცაცხვის საწნახლის მაგიერ, ამოცემენტებულ ოთხკუთხა ჭურჭელში სრესენ ქარვისფერ მტევნებს, ისარნის ნაცვლად, ალუმინის ქვაბს უდგამენ საწნახლის ღარიდან საამოდ გადმომჩქეფარე წვენს, ქვევრების ამორეცხვისას, სპილენძის ორხელის მაგიერ, გაუქმებულ და გადაგდებულ მანქანის ჟანგიან ფარს იყენებენ, ხოლო სპილენძისავე არდაგანის წილ – არაფერს! როგორ თუ არაფერს?! – ბუნებრივად იკითხავს ვინმე. ჩვეულებრივად, არაფერს, რადგან არდაგანი ქვევრიდან დამჭახებული ჭაჭის ამოსაღებად ჰქონდა ჩვენს წინაპარს მომარჯვებული და ახლა აბა რომელი ჭკუათმყოფელი ყრის ქვევრში მარტო ჭაჭას! ჭაჭის მოუცდენლობის გამო, ვერ ამზადებენ, ეს ოცდაათი წელიწადია, ნაქაჩს, რომელიც ლიმონათივით შუშხუნა იყო, მაგრამ უფრო გემრიელი გახლდათ და, რაც მთავარია, ბავშვებისთვის მარგებელიც.

მთელი იმერეთი რომ მოიაროთ, კორრომს იშვიათად წააწყდებით. არადა, როგორი შნო და ლაზათი ჰქონდა კორრომზე დადგმულ ჩალის ზვინს (სხვათა შორის, კორრომს „საბძელსაც“ ეძახდნენ ჩვენში)! ხოლო კორრომში, თივით, ბზით, ფუჩეჩითა და ქურჩით გამოტენილ კორრომში თუ ბალღობისას ერთხელ მაინც არ გადამძვრალხარ, რაგვზე მუხლისთავები არ გადაგღლეტია და თივა-ბზეში შემოდგომით ჩაყრილი, აწ უკვე დაყლურჭებული საზამთრო მსხლით პირი არ ჩაგიტკბარუნებია, საიდან გეცოდინება სოფლის ყადრი! ახლა ისიც ვიკითხოთ, რა სჭირდება კორმის მორგვას? ხუთი-ექვსი იღლია იელის წნელი, ორმოციოდე ეკლის სარი და კიდევ ერთი-მოწადინება!

იშვიათზე იშვიათი გახდა ჩვენში ოწინარიანი ჭა, თონე, ბუხარი. ეს უკანასკნელი ვისაც აქვს, ისე, ეგზოტიკისთვის ინახავს მხოლოდ და, ზოგჯერ, უარესსაც სჩადის – ელექტროღუმელს ან გაზქურას დგამს შიგ!

ხომ მეტად გემრიელია, განსაკუთრებით ზაფხულში, თონეში ამომცხვარი მჭადი და დერგის ყველი? ან თონე სადღაა ძველებური ან მჭადის თონეში მცხობელი!..

დიდედაჩემს პირველი მჭადის მცხობლის სახელი ჰქონდა დაგდებული მთელ ჩვენს რაიონში. არ ჩატარდებოდა ქორწილი, ძეობა თუ ნათლობა, რომ დიდედას მიერ უშველებელ ქვის კეცზე გამომცხვარ, ნიგვზის ან ბლის ფოთლებით შნოიანად თავმოხატულ, მუშკივით რბილსა და სურნელოვან მჭადს აღტაცება არ მოეგვარა სტუმრებისთვის. კვირა ისე როგორ გაილეოდა, დიდი რიდითა და მოწიწებით არ გადმოეძახა ტყრუშული ღობიდან მავანს – ქალბატონ ელიზოს სთხოვეთ, ერთი წუთით გვნახოსო. უკვე ვიცოდით, რასაც ნიშნავდა ის „ერთი წუთით ნახვა" – მჭადების დასაცხობად ეპატიჟებოდნენ იმ სულნათელს.

კარგად მესმის, რომ ასეთი გაჭიანურებული პასაჟი წერილს ბევრს ვერაფერს სასიკეთოს მატებს, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია იმის ართქმაც, რაიც დღესაც შარავანდედად ადგას მის ნათელ ხსოვნას: ერთ მშვენიერ დღეს, ცამოწმენდილზე მეხის გავარდნასავით გაისმა ახლომახლო სოფლებში –ელიზო გაჩეჩილაძეს კახიძეების ქორწილში მჭადების დაცხობაზე უარი უთქვამსო!..

მერე ამირანაშვილებიც უარით გაუსტუმრებია, აბულაძეებიც... დაინტერესებულან სოფლის ჭირნანახი ბერიკაცები, მისულან და მორიდებით უკითხავთ, აგრე რას გაუჯიუტებიხარო?!

– სამოცდაათს გადავაბიჯე უკვე! ვეღარც თვალი მიჭრის უწინდურად და მანამ მივატოვე ცხობა, სანამ შევრცხვენილვარო. ისე გაუდგა სამუდამო სამყოფელს, აღარავისთვის გამოუცხვია მჭადი...

დღეს თითქოს ისევ იღვიძებს სოფლის ნაობლარი, ნაომარი და გაწვალებული, მაგრამ მაინც ტკბილსახსოვარი ბავშვობის ხანა. და იღვიძებს იგი არა იმდენად ამ ყოველივეს მომსწრე ჩემში, რამდენადაც ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებში, საცაა, ბიჭობაზე რომ დადებენ თავს, მაგრამ ჯერ არასოდეს გაუღვიძიათ მამლის ყივილზე, არასოდეს შერჭობიათ ფეხში ეკალი და არასოდეს დაულევიათ ხარის ნაფლოქვარში ჩაგუბული წვიმის წყალი...

მჯერა, რომ ყოველივე ეს სიკეთე მალე გარდახდებათ მათ თავს და ხალისით გამოგვყვებიან მშობლიურ სოფლებში!

მჯერა იმიტომაც, რომ წერილის დასაწყისში დახატულ სქელუას ნაშიერად სულაც არ მიმაჩნია ისინი. ისინი უფრო იქიდან არიან, საიდანაც მელანო და ნაზიბროლა, ამბაკო და ამირანი, ყრმა აკაკი და მისი მამობილი იმზირებიან მშვიდი და კეთილი, ნაჯაფ-ნაოფლარი, მაგრამ ბედნიერი სახის იერით!..



გიზო ზარნაძე

1984-2022

როცა არცოდნა დიდი ცოდვაა!

მიწა და სახელმწიფო

საქართველოს პარლამენტს, მთავრობას, ქართველ ხალხს!

მიწა ერისათვის მისი ყოფიერების მიწა-წყალია. იგი სასიცოცხლოდ აუცილებელი გზაა, რომელიც არსებითად განსაზღვრავს ქვეყნის ყოველმხრივი დამოუკიდებლობის ხარისხს და ფაქტობრივად წარმოადგენს მოცემულ სივრცეში ერის არსებობისა და შემოქმედების აუცილებელ პირობას.

საქართველოს ყოფილი მმართველი ხელისუფლების (2003-2012 წწ.) აგრარული პოლიტიკის სტრატეგია ემყარებოდა იმის არგათვალისწინებას (არცოდნას ან არცოდნის სიმულაციას), რომ:

– ქვეყნის რესურსულ პოტენციალში მიწას, როგორც უვადო ეკონომიკურ აქტივს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება;

– თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფო და საზოგადოება მიწის საკითხს აწესრიგებს საკუთარი ეროვნული და საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მიხედვით: თუ საკუთრების კლასიკური გაგება წინააღმდეგობაში მოდის საზოგადოებრივ ინტერესებთან, უყოყმანოდ იწირება თეორია. ამ მხრივ დასავლური სახელმწიფოები არავითარ სიმორცხვეს არ ამჟღავნებენ. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლომ მიწის საკუთრება, განსხვავებით სხვა ქონებისაგან, ერის საყოველთაო ინტერესების სოციალურ-სამართლებრივ მოთხოვნებს დაუქვემდებარა;

– საქართველოში გაეროს სპეციალური მეთოდიკით გაანგარიშებული ნივთობრივი სიმდიდრე 1990 წელს სულ 275 მლრდ დოლარის ტოლფასი იყო, რომელშიც მიწას 54,3% ეკავა;

– ამჟამად პლანეტაზე მიწის ერთი ნაგლეჯიც კი არ არის თავისუფალი და, თუ გადავხედავთ თანამედროვე კონფლიქტების უმრავლესობას, მათი მიზეზი სწორედ ტერიტორიული დავაა.

– სამშობლოს დაცვით ქართველი გლეხი თავის პირად მამაპაპურსაც, თავის „მამულსაც" იცავდა. სხვა სიტყვით: თავის პირად მამულს იგი თავისი დიდი მამულის, თავისი სახელმწიფოს, დაცვის სახით იცავდა.

ამ სასიცოცხლო თემაზე საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ:

საქართველოს სახელმწიფო მიწა-წყალი ქართველი ხალხის ორგანული სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ეთნოფსიქოლოგიური და ეთნო-კულტურული კანონზომიერი განვითარების შედეგია იმ მიწაზე, სადაც სახელმწიფოსთან ერთად შეიქმნა ქართული ეროვნება და ეროვნული ცნობიერება.

მიწა, საკუთრების სხვა ობიექტებისგან განსხვავებით, ერთდროულად წარმოადგენს საკუთრების ობიექტს, წარმოების საშუალებას და სახელმწიფო ტერიტორიასაც. ამდენად, მიწის საკუთრებას, გარდა ეკონომიკური და იურიდიული დატვირთვისა, პოლიტიკური ასპექტიც გააჩნია. ესაა სახელმწიფოს ტერიტორიული შეუვალობა ანუ სუვერენიტეტი. სუვერენია ხალხი (ერი).

ის ფაქტი, რომ ტერიტორიულ სუვერენიტეტს იცავს სახელმწიფო, სულ არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოა მიწის უზენაესი მესაკუთრე. სახელმწიფო ტერიტორია (მიწა) ხალხის (ერის) საკუთრებაა. ერი, როგორც აღნიშნული უფლების სამართალმემკვიდრე, არ გულისხმობს მხოლოდ დღევანდელ თაობას. ეროვნული სამართალშეგნება სამართალსუბიექტად მიიჩნევს ასევე წარსულ და მომავალ თაობებსაც. სწორედ ამიტომ არც ერთ თაობას (მით უფრო, გარკვეული ვადით მოსულ ხელისუფლებას) არ აქვს არანაირი უფლება, საძვალე მოუშალოს წინაპრებს და მამული გაუყიდოს შთამომავლობას.

მთავრობა, რომელიც საზოგადოებრივი საკუთრების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისების საკითხს აყენებს, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაეკითხოს ერს (ხალხს), სურს მას ამ საკუთრების გასხვისება უცხოელებზე თუ არა. ამ შემთხვევაში დემოკრატიული ქვეყნების „დემოსი" რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს, მთავრობა კი, რომელსაც ხალხის აზრი ამ საკითხში ნამდვილად აინტერესებს, კი არ ეწინააღმდეგება მას, არამედ ვალდებულია, უზრუნველყოს რეფერენდუმის გამართვა.

იხ. 10 გვ.

ანაკლია: ოდენ ნავსადგური თუ სატრანსპორტო კვანძი?!

(მესამე გვერდიდან)

ამ პროექტისთვის ფული მოძიებული იყო, საქართველოს მაშინდელ მთავრობას რომ არ ჩაეშალა.

– თანხები ჩინეთიდან იყო მოძიებული?

– არა მხოლოდ ჩინეთიდან. სანამ პროექტი დასრულდება, მე სრულიად ნორმალურად მიმაჩნია, ბლოკირების პაკეტი იყოს ხელისუფლების ხელში, რათა რაიმე გაუგებრობა არ მოხდეს. როგორც კი პროექტი დასრულდება, მაშინ საქართველოს ხელისუფლებას შეუძლია გაყიდოს თავისი წილი საქართველოს მოქალაქეებზე. ახლაც თუკი საქართველოს მოქალაქეებს ჩართავენ და აქციებს გამოუშვებენ, მაშინ საზღვარგარეთ მყოფი, ასევე, საქართველოში მცხოვრები შეძლებული ადამიანები ჩადებენ ამ საქმეში ფულს, რადგან ეს პერსპექტივაში მათი ოჯახებისთვის სერიოზული შემოსავალი იქნება. მთავარია, კლანურობა დასრულდეს.

– თავის დროზე ხაზარაძე ანაკლიაში გზის, რკინიგზის მიყვანას ითხოვდა, ასევე, სახელმწიფოს სთხოვდა გარანტორობას, სანაცვლოდ კი სახელმწიფო წაგებულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ან საერთოდ არაფერს მიიღებდა. ბიზნესისგან წამოყენებული ასეთი მოთხოვნები რამდენად სამართლიანია?

– მერე რა, რომ ბატონ ხაზარაძეს ბევრი რამ უნდოდა. ნდომა კანონით აკრძალული არ არის. საქართველოს იმდროინდელი მთავრობის დანაშაულებრივმა ტენდერმა შეუწყო ხაზარაძის და ამერიკული ფირმის ხელში ანაკლიის პროექტის ჩაგდებას. არავითარი მისასვლელი გზები სახელმწიფო ბიუჯეტმა არ უნდა გააკეთოს, საერთოდ, ბიუჯეტმა არაფერი არ უნდა გააკეთოს, რადგან ეს პროექტი სხვანაირადაა აწყობილი, არსად, არც ერთ ეტაპზე ამ დიდ პროექტში, რომლის ტომები არსებობს, არც ერთი თეთრი საქართველოს ბიუჯეტიდან არ უნდა დაიხარჯოს. საქართველოს ხელისუფლების გარანტიებზეც ზედმეტია საუბარი. საქართველოს ხელისუფლების გარანტია არის კანონი, ინვესტორების ხელშეწყობა.

– სპარტაკ ერაგიამაც ხომ არ უნდა იაქტიუროს, რომ დაანახოს ანაკლიის მისეული პროექტის ღირებულება ხელისუფლებას?

– ყველამ ყველაფერი იცის, ეს პროექტი ცნობილია ამერიკაშიც, ჩინეთშიც, ევროპაშიც. ერთადერთი ამას საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება სჭირდება, ეს არ არის უბრალო ბიზნესპროექტი. ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი როცა კეთდებოდა, ამას სახელმწიფო დონეზე უამრავი ვიზიტი დასჭირდა, მათ შორის, შევარდნაძეც არაერთხელ იმყოფებოდა ამერიკაში ავადმყოფობის მოტივით, სინამდვილეში, ბაქო-ჯეიჰანისთვის იყო ჩასული, თუ არ ვცდები, 3,5 მილიარდი დაჯდა ის პროექტი. ასეთი მასშტაბური ეკონომიკური პროექტები არ შეიძლება გაკეთდეს კონფრონტაციულ დონეზე, ამას უნდა ყველა დონეზე შეთანხმება, ხელისუფლებას მოუწევს სერიოზული მუშაობა, მაგრამ ბიუჯეტიდან ფულს დავხარჯავ, ეს სერიოზული საუბარი არ არის. ეს იზოლირებული პორტი ვერ იქნება, იზოლირებული პორტი ჩვენ დღესაც გვაქვს ფოთის პორტის სახით, რომელიც თავის საქმეს აკეთებს, მეტის საჭიროება არ არის. ანაკლიის პროექტი კი ქართული საინჟინრო მეცნიერების და პროფესიონალიზმის უმაღლეს დონეზეა გაკეთებული და ამას გამოყენება სჭირდება.

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

პატრიარქის წინასწარმეტყველება

20 წლის წინ ჩემი ორი წლის შვილიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, აუცილებელი გახდა საფრანგეთში სამკურნალოდ გამგზავრება, ვინაიდან აქ საეჭვო დიაგნოზი დაუსვეს. პარიზში გაფრენის წინა დღეს მთელი ოჯახი პატრიარქთან მივედით, მან ნატალი კალთაში ჩაისვა, მოეფერა, დალოცა, სახელი ჰკითხა, გაიღიმა და გახარებულმა საოცრება გვამცნო: – მე ყოველდღე ვილოცებ ნატალისთვის, ვინაიდან დედაჩემსაც ნატა ერქვა და მისთვის ყოველდღე ვლოცულობ, ნუ გეშინიათ, ბავშვი კარგად იქნება, თქვენ პარიზიდან გახარებულები დაბრუნდებით.

პარიზში ჩემი დიდი ხნის მეგობარი, არაჩვეულებრივი პიროვნება და მკურნალი შალვა ჭოველიძე მუშაობდა ერთ-ერთ პრესტიჟულ კლინიკაში, რომელმაც ბავშვი საუკეთესო სპეციალისტთან მიმაყვანინა. საბედნიეროდ, აღმოჩნდა, რომ ჩემს შვილიშვილს საგანგაშო არაფერი სჭირდა. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, უკიდეგანო იყო ჩვენი ბედნიერება...

ჭეშმარიტად აღსრულდა უწმინდესის და უნეტარესის წინასწარმეტყველება. ბავშვს არავითარი მკურნალობა არ დასჭირდა, ის სრულიად ჯანმრთელი იყო. გავიხარეთ, სიხარულით ცას ვეწიეთ.

ხომ წარმოგიდგენიათ, გახარებული ბაბუა პირველ ყოვლისა რას მოიმოქმედებდა?! მაშინვე დავურეკე ჩემი ბავშვობის და სიყრმის მეგობარს გოჩა ჩოგოვაძეს, რომელიც მაშინ საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი იყო საფრანგეთში. ის აქტიურად იყო ჩართული ყველა ამ პროცესში და ვთხოვე, პარიზში ძალიან კარგი, უფრო ზუსტად, საუკეთესო რესტორანი შეერჩია, სადაც ჩემი შვილიშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობით გამოწვეულ დიდ სიხარულსა და ბედნიერებას აღვნიშნავდით.

გოჩამ საელჩოს თანამშრომელ ავთო ზარიძეს დაავალა ჩემი თხოვნის შესრულება და ჩვენც საღამოს წავედით – მე, ჩემი ოჯახი, გოჩა მეუღლითურთ. ვახშმის შეკვეთა გოჩას ვთხოვე, რადგან იქაურ მენიუს კარგად იცნობდა...

რესტორანი მართლაც არაჩვეულებრივი და მდიდრული იყო, მაგრამ გოჩას შეკვეთა რომ მოიტანეს, ჰოი, საოცრებავ!.. რას ხედავს ჩემი თვალები: უზარმაზარ ცხელ, თეთრ თეფშს „ამშვენებს“ საოცრად პატარა ფარშირებული სტაფილო, ბადრიჯნის მრგვლად გადაჭრილი ერთი მომცრო ნაჭერი და პაწაწკინტელა შემწვარი ხორცი სოუსით, ოხრახუშის პატარა ფოთლით მორთული და დამშვენებული... მოიტანეს სხვა კერძებიც, მაგრამ ყველაფერი უცნაური და თანაც საოცრად ციცქნა ულუფებად. შეისვა მხოლოდ ორი ბოთლი ძვირფასი ღვინო... საბოლოოდ, ამ ყველაფერში 1500 ევროზე მეტი გადავიხადე და შინ მშივრები დავბრუნდით...

სამაგიეროდ, რესტორანი იმდენად ფეშენებელური იყო, რომ მის ჰოლებში და თქვენ წარმოიდგინეთ ტუალეტებშიც არაჩვეულებრივი ფერწერული შედევრები ვიხილეთ...

ამ ამბის გახსენებაზე ჩემი გოჩუნი უხერხულად იშმუშნებოდა. სიამოვნებდა გოჩუნით რომ მივმართავდი, ასე მხოლოდ დედაჩემი მიხმობდაო.

„ტაივანჩიკი“ და ნაპოლეონი

ჩემმა სიყრმის მეგობარმა, საფრანგეთში საქართველოს ელჩმა გოჩა ჩოგოვაძემ თავისი იუბილე პარიზში გადაიხადა. იუბილარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ საზეიმო ღონისძიებაზე მართლაც რჩეული საზოგადოება შეიკრიბა. ეს ხაზგასმით ადასტურებდა საფრანგეთში ჩვენი ელჩის მაღალ ავტორიტეტს.

თბილისიდან პარიზში ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად საგანგებოდ გაფრინდნენ ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების რექტორები როინ მეტრეველი, რამაზ ხუროძე, რამაზ ხეცურიანი, ნაპოლეონ ქარქაშაძე, გურამ ქარქაშაძე და თქვენი მონამორჩილი. ზეიმს საფრანგეთის ელჩი საქართველოში სალომე ზურაბიშვილიც დაესწრო.

საპატიო სტუმართა შორის ბრძანდებოდნენ ჩვენი სასიქადულო ხელოვანი ზურაბ წერეთელი, ფართო საზოგადოებისთვის „ტაივანჩიკის“ ზედსახელითა ცნობილი მილიარდერი, მეცენატი და ქველმოქმედი ალიმჟან ტოხტახუნოვი (არც ისე შორეულ წარსულში მას რუსულ და დასავლურ პრესაში მოიხსენიებდნენ, როგორც „მსხვილ კრიმინალურ ავტორიტეტს“) და სხვები...

საყურადღებოა, რომ დროთა განმავლობაში ალიმჟან ტოხტახუნოვმა მაღალ საზოგადოებაში თავისი საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. იმხანად მას, ტყუპი გოგონების მზრუნველ მამას, პირველი მეუღლისგან უკვე ჰყავდა დედის გვარზე გადასული უფროსი ქალიშვილი, ბალერინა ლოლიტა კოჩეტკოვა, რომლისგანაც ზურაბ წერეთლის შვილიშვილს, ზუკა მახარაძე-წერეთელს შვილი ჰყავს.

„ტაივანჩიკი“ ალიმჟან ტოხტახუნოვი

ისეთი ფინანსური შესაძლებლობის კაცი, როგორიც ტოხტახუნოვია, ცხადია, ლამაზმანთათვისაც ფრიად სასურველი პერსონა გახლდათ: მის ირგვლივ ყოველთვის უხვად ტრიალებდნენ მომხიბლავი გოგონები...

სუფრასთან ალიმჟანის გვერდით ბატონი ნაპოლეონ ქარქაშაძე იჯდა. მას, რა თქმა უნდა, „ტაივანჩიკის“ რეგალიებსა და წარსულზე წარმოდგენაც არ ჰქონდა. ალიმჟანი საინტერესო მოსაუბრე გამოდგა. როგორც ასეთ დროს ხდება ხოლმე, სიტყვა ლამაზი სქესის წარმომადგენლებზე ჩამოვარდა და მანაც ბევრი პიკანტური ამბავი გაიხსენა... რაკიღა ქართველ თანამეინახეს დაინტერესება შეატყო, თანაც ნაპოლეონმა „ტაივანჩიკზე“ სასიამოვნო შთაბეჭდილებაც მოახდინა – მილიარდერმა გადაწყვიტა ქართველი სტუმრის პატივისცემა, ოღონდ პატივისცემის გამოხატულება ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო!

გამომშვიდობებისას ალიმჟანმა ნაპოლეონს სასტუმროს ნომერი ჰკითხა და გააფრთხილა, ხვალ ლამაზი გოგონები გეწვევიან და კარგი დრო გაატარეთ, თქვენ იცით, არ შემარცხვინოთო და თვალი ჩაუკრა.

ბატონმა ნაპოლეონმა ეს ნასვამი კაცის ხუმრობად მიიღო, ამიტომ მისი დაპირებისთვის მაინცდამაინც ყურადღება არ მიუქცევია.

დილით ნაპოლეონის ნომერში ზარის ხმა გაისმა. კარი გააღო და „თვალთ დაუბნელდა“: ორი ახალგაზრდა უმშვენიერესი ქალი ღიმილით შემოსცქეროდა. ქალბატონებმა დაბნეული მამაკაცის დანახვაზე ერთმანეთს გადაულაპარაკეს, ზღურბლი თამამად გადალახეს და დივანზე მოკალათდნენ.

ბატონი ნაპოლეონი სტუმრებს ერთხანს გაოგნებული შესცქეროდა. ახლაღა გაახსენდა „ტაივანჩიკი“ და მისი წუხანდელი დაპირება. პირველი, რაც ნაბახუსევმა გაიფიქრა: „ერთბაშად ორი?! ერთი მაინც ყოფილიყო!“

ბატონმა ნაპოლეონმა მოიბოდიშა... ჭიქებში ქართული კონიაკი ჩამოასხა და გაცნობის სადღეგრძელო წარმოთქვა, თუმც ქალებს მისი სადღეგრძელოს მიმართ არანაირი ინტერესი არ გამოუჩენიათ. მალე მოიწყინეს: ეტყობა, სულ სხვანაირ დახვედრას ელოდნენ, ამ კაცმა კი მომაბეზრებელი ცერემონიალი გამართა! რაკი სადღეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა, უკმაყოფილება აღარ დაუმალავთ და ცივად განაცხადეს:

– Знаете что, давайте, договоримся: разделим деньги пополам и делу конец! Мирно разойдемся! – თან ვნებიანად ააელვარეს თვალები.

კი ხვდება ბატონი ნაპოლეონი, რა „დელოზეც“ არის ლაპარაკი. ლამაზი ქალის ფასიც კარგად მოეხსენება, ვერც სათანადო გამოცდილების არქონას დასწამებს ვინმე, მაგრამ...

ოთახში დინჯად გაიარ-გამოიარა, მერე შედგა და მოულოდნელად სტუმრებს ისეთი რამ ჰკითხა, აზრად რომ არავის მოუვიდოდა:

– Девушки, сколько вам „Тайванчик“ заплатил?

ახლა გოგონებს კინაღამ დაუბნელდათ თვალთ! რაში აინტერესებს ამ კაცს, რა ამისი საქმეა, რამდენი გადაგვიხადესო? – აღშფოთდნენ...

– это вас не касается. Во всяком случае, сколько надо было, столько заплатил!

ბატონი ნაპოლეონი უკან არ იხევს:

– Знаете что, давайте, договоримся: разделим деньги пополам и делу конец! Мирно разойдемся!

გოგონებმა დაჭყიტეს ლამაზად შეღებილი თვალები.

– Что?!

– Да, Да! Разделим и уходите с миром! – შეუვალია ნაპოლეონი. ჰგონია, სტუმრებს ამ წინადადებით ძალიან გაახარებს...

გოგონებმა ერთმანეთს გადახედეს, არც აციეს, არც აცხელეს და უცნაურ მასპინძელს პირდაპირ მიახალეს:

– Вы что, обалдели? Мы пришли, чтобы обслужить, а не деньгами с Вами делиться! Что за чушь Вы несете, Вы над нами издеваетесь, чем мы провинились?

– Нет, нет, девушки, ни в чем не провинились! Я серьёзно говорю! Разделим деньги попалам и дело с концом! – კიდევ ერთხელ აზუსტებს ნაპოლეონი, რადგან ფიქრობს, ალბათ გოგონები ჩემი წინადადების არსს სწორად ვერ ჩასწვდნენო...

როცა დარწმუნდნენ, რომ მასპინძელს ფულის მეტი არაფერი აინტერესებდა, განრისხებულები მაშინვე სავარძლიდან წამოცვივდნენ.

– Мудак ты! – უყვირეს გესლიანად.

ჩანთებს ხელი წამოავლეს და ნომრიდან გაცვივდნენ.

ნაპოლეონი კი კიდევ დიდხანს იდგა ოთახის შუაგულში. იდგა და თავის თავზე ბრაზობდა. ახლა იმაზეღა ფიქრობდა, მისი ნაამბობი როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა მეგობრებზე...

აფსუს, როგორ არცხვენს იმ უდიდესი ფრანგის სახელს, ვინც ლამაზი ქალის ფასიც იცოდა და ორი საუკუნის წინათ მთელ სამყაროსაც აზანზარებდა!

ხუმრობა იქით იყოს და, ვერც ბატონი ნაპოლეონი, ეს ღირსეული პიროვნება, აღიარებული მეცნიერი, არაჩვეულებრივი გამოკვლევებისა და წიგნების ავტორი, სასოფლო-სამეურნეო აკადემიის პრეზიდენტი ვერ გადაურჩა უსამართლობის მსახვრალ ხელს – სამოცდაათ წელს გადაცილებული კაცი აბსურდული ბრალდებით გაასამართლეს და ციხეში გამოკეტეს. ბატონ ნაპოლეონ ქარქაშაძეს, ამ სულიერად ძლიერ პიროვნებას, ვერაფერი დაეკლო ფინიათა გესლიანმა წკავწკავმა.

გაუძლო ყოველივეს – ნებისყოფაც ეყო, ვაჟკაცობაც და კვლავ ღირსეულად ემსახურება თავის სათაყვანებელ სამშობლოს...

ზემოთ ჩამოთვლილი რეგალიების გარდა, ბატონი ნაპოლეონი გახლავთ სრულიად საქართველოს „აქტიურ ბაბუათა“ ასოციაციის პრეზიდენტი და კაზაკთა გენერალ-მაიორი...

ომარ მარგველაშვილი

ტრადიციული ვარსკვლავთცვენა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენაზე

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, ამ რამდენიმე დღის წინათ ახალგაზრდული საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში გაიმართა იტალიელი კომპოზიტორის ჯაკომო პუჩინის ოპერის „ბოჰემის“ პრემიერა.

ჯაკომო პუჩინის ცნობილი ოპერა „მანონ ლესკო“ თბილისში პირველად 1896-97 წლებში დაიდგა, „ბოჰემა“ კი – 1898 წლის 25-ნოემბერს.

პუჩინის ოპერებს მრავალი შესანიშნავი ქართველი შემსრულებელი ჰყავს, მათ შორის ტოკიოს საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი მედეა ამირანაშვილი, ლამარა ჭყონია და სხვები.

საპრემიერო სპექტაკლები ანშლაგით გაიმართა. სპექტაკლის დამდგმელი დირიჟორი გახლავთ ფაბრიციო მარია კარმინატი, დამდგმელი რეჟისორი ჟან ლუი გრინდა, სცენოგრაფი რუდი საბონგი, სპექტაკლის წამყვანი რეჟისორი მარინა ბურჭულაძე. საპრემიერო სპექტაკლებს დირიჟორობდნენ ლევან ჯაგაევი და კახი სოლომნიშვილი.

პრემიერის შესახებ მოსაზრება გამოთქვა აკადემიკოსმა ინესა მერაბიშვილმა:

– თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე საზოგადოება ყოველთვის დიდი სიხარულით ეგებება პუჩინის ოპერებს. ბოლო დროს ჩვენ მოვუსმინეთ „ტოსკას“, „ტურანდოტს“, „მანონ ლესკოს“... ამჯერად „ბოჰემას“. საპრემიერო წარმოდგენა იყო ფრიად გამორჩეული განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მასში ახალგაზრდა მომღერლები, ქართული საოპერო სცენის მომავალი ვარსკვლავები მონაწილეობდნენ, რასაც დიდი აღტაცებით მივესალმები და გზას დავულოცავ მათ...

მედეა ამირანაშვილმა სიხარულით და სიამაყით აღნიშნა, რომ თბილისის ოპერის თეატრი უბრუნდება ჩვეულ ბრწყინვალეგას.

– დაიდგა ბევრი ახალი სპექტაკლი, 9 ივლისს მოვისმინე პუჩინის „მანონ ლესკო“, რომელმაც დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე. ორმაგად უფრო სასიხარულოა, რომ ახალგაზრდა მომღერლები არიან ჩართულები ამ სპექტაკლში, რომლებიც ღირსეულად წარსდგნენ მაყურებლის წინაშე.

„ბოჰემაში“ ნამდვილი ვარსკვლავთცვენაა; სალომე ჯიქია და კოტე ყიფიანი, რომლებსაც მხარს უმშვენებდნენ ცნობილი მომღერლები: გიორგი ლომისელი, მარიკა მაჩიტიძე, ლევან მაკარიძე და დებიუტანტები: მერაბ სამყურაშვილი, ლაშა სესიტაშვილი, ზვიად ხუხუა და სხვები.

მარინა მაჭავარიანი – ანჯაფარიძისამ და უმცროსმა ზურაბ ანჯაფარიძემ წარმატებები უსურვეს თეატრის ახალ თაობას და სიამაყით აღნიშნეს, რომ დეკემბრის თვეში ჩატარებული ექვსივე სპექტაკლის ბილეთები თვალის დახამხამებაში გაქრა თეატრის სალაროებიდან.

ნანა გროძელი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ოპერის დიდი მეგობარი და მსმენელი:

– ბედნიერება მხვდა წილად, 23 დეკემბერს დავსწრებოდი საპრემიერო წარმოდგენას, საოცარი ემოციით მოვუსმინე თინათინ მამულაშვილს, მარიკა მაჩიტიძეს, იტალიელ მომღერალს ვალერიო ბორჯონის (რუდოლფო), ურუგვაელ ალფონსო მუხიკას (მარჩელო), ლევან მაკარიძეს და ყველა ახალგედა შემსრულებლის პარტიებს.

ნიკა ნიკვაშვილი – მუსიკოსი, პიანისტი, კომპოზიტორი:

– ყველა საპრემიერო ჩვენებას დავესწარი. მინდა აღვნიშნო, რომ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდი და ორკესტრი გამორჩეულად მაღალი დონის კოლექტივია, ხოლო გამოჩენილი მაესტროს ზაზა აზმაიფარაშვილის ოსტატობა თვალსაჩინოა ამ სპექტაკლში.

ოპერის ერთგული მსმენელისთვის საახალწლოდ გამართული ეს შესანიშნავი წარმოდგენები საუკეთესო საჩუქარი გახლავთ. გვიხარია, რომ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი კვლავ იპყრობს საოპერო მწვერვალებს...

* * *

წლის ბოლო დღეებში ოპერის თეატრში გრანდიოზული საზეიმო გალა-კონცერტები გაიმართა. დარბაზი ისევ გადაჭედილი იყო!..

თეატრი შესანატრი აღმავლობით შეხვდა 2023 წელს!..

ნანა ჭიჭინაძე,
ოპერის მეგობარი, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქე.

მიშას მხარდამჭერები ჭორვილიდან გამოყარეს!

ომის პარტიის ფრიშარასტები ჭორვილიდან გაიქცნენ, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დიმიტრი სამხარაძე სოციალურ ქსელში წერს.

„ომის პარტიის ფრიშარასტები ჭორვილიდან გაიქცნენ, ერთი მიშას დედაც ვატირეთო, კიდევ ერთხელ გაბანძდნენ ნაძირალები, რომლებმაც ბერას საწინააღმდეგო აქციები დააორგანიზეს და ბიზნეს ცენტრის წინ იგინებოდნენ! სამართალმა პური ჭამა. კარგი წელია“, – წერს სამხარაძე.

ჭყლოპინი ლიბერასტულ ყანაში

მაშინ როცა წესიერი ხალხი ახალი წლის დადგომას ზეიმობდა, ერთმანეთს მშვიდობას, სიყვარულს, ხვავს და ბარაქას უსურვებდა, შინაგანი ბოღმით და სიძულვილით სავსე ტიპებმა დრო იხელთეს და თავისუფალ სივრცეში ყველაფრის ლანძღვით აფუთფუთდნენ.

იციან, რომ ნორმალურ ადამიანებს ყველაზე მეტ ტკივილს პატრიარქზე თავდასხმით მიაყენებენ და თავიანთი ბინძური, ორკაპა ენები აასარსალეს.

მაგალითად გივი თარგამაძე, რომელმაც 3 იანვარს ასეთი რამ დაწერა: მადლობა ამერიკის ხმას, რომ ჩაწერა ქადაგება მოლეულ რუსებში ამოთხვრილ აპოკალიფსში მომქაჩავ გვერდზე წამოგორებული ქვეყნის პატრიარქის საძაგლობის მიღმა დარჩენილი ნორმალურების სახელით, ამ სანიმუშო ქართველ ცოლ-ქმარს გაუმარჯოს. მადლობა მათ, მადლობა იმისთვის, როგორებიც არიან. მადლობა, მადლობა, მადლობა.

აბა ამ ლოთბაზარა „გივია-აუფეთქებელზე“ რა უნდა თქვა?

აგინო? აზრი არა აქვს!..

არის ასეთი პატარა ამბავი, სადაც მღვდელი და ათეისტი ადამიანის წარმოშობაზე კამათობენ.

– შენ ადამიანში მაიმუნს ხედავ, მე კი – ღმერთს.

აქაც ასეა. ისინი თაღლით მანიაკში ხედავენ ყველაზე პატივსაცემს. ნორმალური ხალხი – პატრიარქში.

თავაგდებული ნაძირალები

რას იზამ, მათ გონებას ჩვენ ვერაფრით შევცვლით, ჰოდა უყურონ იმას, რისი ღირსნიც არიან.

დავრწმუნდი, რომ ეს ნაცები და აგრესიული ლიბერალები სპეციალურად იმისთვის „შეიქმნენ“, რომ ფასეულობები გააფუჭონ.

„ნაციონალური“ ხომ მოსპეს, „ცისფერი“ და „ცისარტყელა“ ხომ მიწასთან გაასწორეს, „სამოქალაქო საზოგადოება“ და „დემოკრატია“ შეგვაზიზღეს, „ევროპული ღირებულებები“ უკანალის ქიცინად წარმოაჩინეს.

ახლა რელიგიას მიადგნენ!

სააკაშვილის ფენომენი უკვე კარგა ხანია გასცდა პოლიტიკის სფეროს და რელიგიის სფერო დაიკავა“ – წერს ლაშა ბუღაძე.

ეს ფროიდის პაციენტი ნახეთ რა?!

სააკაშვილმა რელიგიის სფერო დაიკავაო.

აბა ამ მორიგ სისულელეზე როგორ შეიძლება რაიმე კომენტარი გააკეთო, ან მსჯელობის საგნად აქციო?

პრინციპში, ორიოდ სიტყვის თქმა ნამდვილად შეიძლება – ის რელიგიაში თაღლით მანიაკს ხედავს, ნორმალური ადამიანები კი (განურჩევლად ქრისტიანია, მუსულმანი, თუ ბუდისტი) უზენაეს სიკეთეს, სიბრძნეს და სიყვარულს.

არადა, რამდენი ხანია ხალხი გაიძახის, რომ სექტაა, სექტა თავისი ყველაზე მდაბალი და აგრესიული გამოვლინებით.

ალბათ მალე გამოვლენ, სააკაშვილის ტოტემს გამოიტანენ და ველური როკვით თავიანთი კერპისთვის მსხვერპლშეწირვას განახორციელებენ.

ძალიან ზუსტი შეფასება მისცა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 2022 წლის 29 დეკემბრის ნომერში ბატონმა ალეკო ასლანიშვილმა, როცა გასული წელი როგორც „გიჟის წელიწადი“ მოიხსენია.

თუ იმ ჭყლოპინს, რომლითაც აგრესიული ლიბერალები უპირისპირდებიან ინსტიტუციას, რომელსაც საქართველოს მოსახლეობაში უპირობოდ ყველაზე მაღალი რეიტინგი აქვს (თუ არ ვცდები 94%), ისმის მარტივი შეკითხვა – რატომ? რატომ იგდებენ თავს.



პასუხი საკმაოდ მარტივია – მათ ეს ყველაფერი ძალიან კარგად იციან, მაგრამ მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია ფული და წამიერი პოპულარობა. პოპულარობა, რომელიც თუნდაც ხალხისგან მათი გინების სახით იყოს მოპოვებული, რომ ყველაფერზე მიდიან. ეკლესიასთან დაპირისპირება და უაზრო განცხადებები დემოკრატიაზე, ხალხის გასაბრაზებლად ძალიან „კარგი“ თემაა.

გია გაბრიჭიძე

მილიარდიანი მოგება ორ კვირაში

პრემიერიდან სულ რაღაც ცამეტ დღეში, **Avatar**-ის გაგრძელება **Avatar: The Way Of Water**-ის გლობალურმა შემოსავალმა სალაროებში 41-მილიარდიანი ნიშნული გადალახა. **Deadline**-ის მონაცემებით, მხოლოდ საშობაოდ, შაბათ-კვირას ფილმმა $900 მილიონის გამომუშავება შეძლო.

რეჟისორ ჯეიმს კამერონის განცხადებით, ფილმი მოგების მისაღებად, ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი ფილმი უნდა გახდეს. კამერონის გათვლებით, Avatar-ის მეორე ნაწილს მინიმუმ $2 მილიარდის გამომუშავება სჭირდება. საშინაო დებიუტის პირველ შაბათ-კვირას კინოსურათმა დაახლოებით $134 მილიონის, გლობალურად კი $434.5 მილიონის გამომუშავება მოახერხა.

უკრაინის ომმა ნათელყო საერთაშორისო ორგანიზაციების სრული იმპოტენცია!..

** აი, 2022-იც მიიწურა, როგორც ვიტყვით ხოლმე, თვალისდახამხამებაში. ახლა, ყველაზე უპრიანი იქნება, ალბათ, უკან მოვიხედოთ და თვალი გადავავლოთ უკვე ისტორიად ქცეულ, წლის მსოფლიო პოლიტიკურ მოვლენებს. ყველაზე მთავარი და ყველაზე მძიმე ამბავი, რაც მაშინვე გვახსენდება, გვაწუხებს, გვაფიქრებს, და რამაც მილიონობით ადამიანისა და მთლიანად მსოფლიოს ცხოვრება შეცვალა, ესაა ომი უკრაინაში. ამ უცნაურმა ომმა საერთაშორისო დონის ყველა სხვა მოვლენა დაჩრდილა. მან მთელი ეპოქა შექმნა, რომლსაც ისტორიკოსებმა ახალი მსოფლიო წესრიგის მომასწავებელი უწოდეს.**

იგი მთლიანად ცვლის ცივი ომის შედეგად წარმოქმნილ, აქამდე არსებულ, წესრიგს და კაცობრიობას გლობალური პოლიტიკური ცხოვრების სრულიად ახალ წესს სთავაზობს. ვინ იფიქრებდა, რომ 21-ე საუკუნეში, ევროპის შუაგულში, ამ ზომისა და გაქანების ომი გაჩაღდებოდა, მაგრამ მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო და საგონებელში ჩაგვაგდო ყველა. ეს ჩვენი თანამედროვე ეპოქა, კულტურული რევოლუციის, ინტელექტუალური ბრწყინვალეებისა და ტექნოლოგიური სრბოლის ხანაა, მაგრამ ჯახი უკრაინაში, თავისი სტილით, ხერხებით, სტრატეგიითა თუ შედეგებით, ძველი, იმპერიული ტიპის ომია, რომელიც ზუსტად მაშინ ატყდა, როცა მეოცე საუკუნის ორი დიდი ომი წარსულს ჩაბარდა და თითქოს გვეგონა, სამშვიდობოს ვიყავით გასული.

ეს გაუგებარი და რუსეთის მიერ სპეცოპერაციად წოდებული ომი, რომელიც რუსული შეიარაღებული ძალების უკრაინაში შეჭრას მოჰყვა, იმთავითვე გასცდა ორი ქვეყნის დაპირისპირებასა და ინტერესებს. ხანდახან, ახალი მსოფლიო ომის წინაპირობად მოიხსენიებენ. ზოგი ამბობს რუსულ-დასავლური შეტაკებაო, თუმცა, ამასაც ფრთხილად გვეუბნებიან, რომ შეფასებაში არ გადააჭარბონ. მაგრამ, მხოლოდ რუსულ-უკრაინული რომ არაა ეს სისხლისმღვრელი კონფლიქტი, ესეც ფაქტია. ერთმა პოლიტოლოგმა ამიხსნა, გეოპოლიტიკურ ბატონობაზე, მსოფლიო გავლენასა და ბუნებრივ რესურსებზე მიდის ეს ცხელი დავაო. ამ ომმა აჩვენა, რომ რბილი ძალა და ეკონომიკა დიდ გავლენას ვერ მოახდენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, თუ მას ხისტი ძალა დაუპირისპირდება. ომმა ნათელჰყო საერთაშორისო ორგანიზაციების სრული იმპოტენცია მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების დიდ საქმეში. საერთაშორისო სამართალი თავის არქაულ შინაარსსა და ფუნქციონალს დაუბრუნდა: სამყაროს ზესახელწიფოები მართავენ, და პატარები თვალებში შესცქერიან, თუ როდის რას მოიმოქმედებენ დიდები. ომმა გაამძაფრა დასავლეთის დაპირისპირება რუსეთთან და ჩინეთთან, და გაამწვავა ტაივანის მიძინებული პრობლემატიკა.

ეს არის ორი საპირისპირო პოლუსი, და თითოეული, თავისი კოალიციის შექმნას ცდილობს. მაგრამ გაჩნდა ახალი ტენდენციაც: არიან ქვეყნები, რომელთაც არცერთ კოალიციაში არ სურს გაერთიანება, და საკუთარი პოლუსის შექმნა სწადია, მაგალითად, ინდოეთი, საუდის არაბეთი, ლათინური ამერიკის შედარებით მძლავრი ქვეყნები, თურქეთი და სხვები. უკრაინის ომმა და დასავლეთის ანტირუსულმა სანქციებმა მოშალა წინანდელი თავისუფალი სავაჭრო გზები. ლიბერალთა ნაქებმა გლობალურმა ვაჭრობამ მარცხი განიცადა, რადგან ვერ მიაღწია ერთმანეთთან დაპირისპირებული ქვეყნების შერიგებას. ახლა, დასავლეთი და ეგრეთწოდებული ანტიდასავლეთი თავიანთ სავაჭრო ქსელებს აბამენ. ომმა და გლობალური სავაჭრო სისტემის მოშლამ ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია.

თავად უზრუნველყოფილ დასავლეთშიც კი, იმრავლა ეკონომიკურმა პრობლემებმა, რასაც შეუქცევადი ინფლაცია მოჰყვა. 2022 წელი დაგვამახსოვრდება დიდ ბრიტანეთში პრემიერ-მინისტრების თავბრუდამხვევი ცვალებადობითა და გაფიცვების სიმრავლით. დაუვიწყარია ისიც, რომ უკრაინის ომით შეშინებულმა ნეიტრალურმა ქვეყნებმა, შვედეთმა და ფინეთმა, ნატოს ალიანსში გაწევრება გადაწყვიტეს. ამ ომის შედეგად, ამერიკა და ევროპა უფრო დაუახლოვდა ერთმანეთს. უსაფრთხოებისა და მომავლის პრობლემებზე სამსჯელოდ შეიქმნა ევროკავშირისა და ამერიკის ფორუმი. 2022 წელს, ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყნის სათავეში მემარცხენეე ძალები მოვიდნენ. ეს, ახალ პოლიტიკურ ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს. ბრაზილიაში რომ მემარცხენეებმა გაიმარჯვეს, გასაკვირი არ არის, მაგრამ მექსიკასა და კოლუმბიაში მათი გამარჯვება, ნამდვილად გასაოცარია.

კოლუმბია ხომ ყოველთვის მემარჯვენეობის კერად და პროამერიკულ ქვეყნად ითვლებოდა! საინტერესოა, გაგრძელდება თუ არა რეგიონში ეს ტენდენცია. 2022 რთული წელი იყო ორი დიდი მუსლიმური ქვეყნის, ირანისა და პაკისტანისთვის. პაკისტანმა სამი დიდი კრიზისი გადაიტანა: აპრილში, პარლამენტმა ხალხის არჩეული პრეზიდენტი იმრან ხანი გადააყენა, რამაც სოციალური არეულობა და ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია, გაიზარდა ინფლაცია და გაუფასურდა პაკისტანური რუპი; აგვისტოში, კოკისპირულ მუსონურ წვიმებსა და მყინვართა დნობას დიდი წყალდიდობა მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა პაკისტანის პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები; დაიტბორა ქვეყნის მესამედი, დაინგრა მილიონზე მეტი სახლი.

ირანში, აიათოლასა და მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ადამიანებმა საპროტესტო აქციები გამართეს, რაც მასობრივ გამოსვლებში გადაიზარდა. ეს პროტესტი ირანის ისლამური რესპუბლიკის 43-წლიან ისტორიაში, ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ შიდა არეულობად იქცა. სპარსელმა ახალგაზრდობამ ირანული ფუნდამენტალიზმის წინაღმდეგ ხმა აიმაღლა. ჯერჯერობით, ხელისუფლება უმკლავდება პროტესტების ტალღას, მაგრამ, არავინ უწყის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები მომავალ წელს.

გასულმა წელმა სამყაროს 14 მილიონი უკრაინელი ლტოლვილი მისცა, აყვავდნენ იარაღის მწარმოებლები, გაიზარდა ფასები გაზსა და ნავთობზე, შესაბამისად, შეიქმნა მწვანე ენერგეტიკის გარდაუვალობის შეგრძნება, რუსეთის სახელწიფომ საბჭოთა კავშირის დროინდელი იმიჯი დაიბრუნა, მსოფლიოს ქვეყნებში ახალთახალი რუსული დიასპორები გაჩნდა, პლანეტის მცხოვრებთ შიმშილის საფრთხე გაახსენდათ და დედამიწას კვლავ ეწვია ბირთვული ომის შიში. ეს იყო, მოკლედ, ის, რაც სამყარომ გასულ, 2022 წელს განიცადა!

მოსალოდნელია მსოფლიო ეკონომიკის მკვეთრი ვარდნა!

დღეს იმაზე ვისაუბროთ თუ რა გველის დამდეგ 2023 წელს! საახალწლოდ, მინდოდა, გამეხარებინეთ მომავლის ოპტიმისტური ჭვრეტითა და სასიამოვნო ვარაუდებით, მაგრამ, თუ სიმართლეს გავუსწორებთ თვალს, სახარბიელოს ვერაფერს დავინახავთ მსოფლიოს პოლიტიკურ არენაზე. არის ასეთი პროგნოზი, თუ ამას პროგნოზი სჭირდება, რომ მთავარ თემად და ზოგადსაკაცობრიო თავისა და გულის ტკივილად ისევ უკრაინის ომი დარჩება. სავარაუდოდ, სასტიკი ბრძოლები მთელ ზამთარს გაგრძელდება, და არსებობს საშიშროება, რომ გაზაფხულზე რუსეთი ახალ კონტრშეტევას მოსინჯავს. კომპეტენტურ ექსპერტთა აზრით, კონფლიქტის დასასრულს ჯერჯერობით არ უნდა ველოდეთ. უკრაინის ომისა და ანტირუსული სანქციების გავლენით, მსოფლიო ეკონომიკის მკვეთრ ვარდნას ვარაუდობენ. ეკონომიკური პრობლემები გამწვავდება განვითარებად ქვეყნებში.

მოიმატებს ინფლაცია და უმუშევრობა, მსოფლიო ბაზარზე საკვებისა და ენერგორესურსების ფასები მკვეთრად გაიზრდება, შესაბამისად, გართულდება განვითარებადი ქვეყნების ვალების მომსახურება და რეფინანსირება. ყოველივე ამის გამო, შეიძლება, დეფოლტიც კი გამოცხადდეს, რაც შექმნის დემოკრატიიდან ავტორიტარიზმზე გადასვლის საშიშროებას. ევროკავშირი, ალბათ, უფრო ძლიერ გეოპოლიტიკური ძალად ჩამოყალიბდება, ვიდრე აქამდე იყო, და ეს პროცესი, შეიძლება, სამმა ფაქტორმა დააჩქაროს: უკრაინის ომის გაგრძელებამ, ჩინეთთან დაპირისპირებამ და ამერიკის ხელისუფლებაში ტრამპისტების შესაძლო დაბრუნებამ. თავად ევროკავშირი შეეცდება, დინამიურად მართოს ეს პროცესი.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, პროცესი შეუქცევადია, რაზეც პირდაპირ მეტყველებს მილიტარიზაციის ახალი გერმანული პოლიტიკა. 2023 წელს, მკვეთრად გაიზრდება შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელობა და თურქეთის როლი მსოფლიოს პოლიტიკაში. დასავლეთი ომამდეც უსვამდა ხაზს შავი ზღვის რეგიონის დიდ მნიშვნელობას. ახლა კი, როცა ევროპას რუსეთთან ვაჭრობის თითქმის ყველა გზა აქვს დაბლოკილი, შავი ზღვის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზრდება. შავი ზღვის უსაფრთხოების პირველი გამკონტროლებელი ძალა თურქეთი გახდება. თუ რატომ თურქეთი, ამაზე რამდენიმე ფაქტორი იქონიებს გავლენას. ჯერ ერთი, თურქეთს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი არმია და საზღვაო ფლოტი ჰყავს. თურქეთი აკონტროლებს შავ ზღვაში შემავალ სრუტეს. ერდოღანის ახლანდელი საგარეო პოლიტიკის წყალობით, მსოფლიოში კიდევ უფრო მოიმატებს თურქეთის, როგორც დამოუკიდებელი მოთამაშის გავლენა, რომლისთვისაც უმნიშვნელოვანესია მშვიდობა შავი ზღვის რეგიონსა და კავკასიაში, რადგან მხოლოდ მშვიდობის დროს ეძლევა შანსი თურქეთს, გადაიქცეს რეგიონის ცენტრად. შავი ზღვის რეგიონს რომ დიდი მომავალი აქვს, ამაზე ევროკავშირის ახალი ენერგო-პროექტიც მეტყველებს. იგეგმება შავი ზღვის ფსკერზე ელექტროენერგიის მაღალი ძაბვის გადამცემი ქსელის მშენებლობა, რომელიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი სადენით იქნება აღჭურვილი.

როგორც ევროკომისიის პრეზიდენტმა, ურსულა ფონ-დერ-ლაიენმა აღნიშნა, შავი ზღვის გავლით, ელექტროენერგიის გადამცემი წყალქვეშა კაბელი გახსნის შესაძლებლობათა ახალ ფანჯარას. პროექტი საქართველოს ელექტროენერგიის ჰაბად გადააქცევს. მომავალი წლის მაის-ივნისში, თურქეთის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები გაიმართება, რაც მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცევა. თურქეთის ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ერდოღანის სუსტი წერტილია, ოპოზიციას მომგებიან მდგომარეობაში აყენებს და აძლევს შესაძლებლობას, ეს არჩევნები მოიგოს, თუმცა, მათ გათიშულობა უშლის ხელს. ამიტომ, ახლა ერთმნიშვნელოვნად თქმა, ვინ ვის აჯობებს, რთულია, მათ არჩევნებში გამარჯვების ერთნაირი შანსი აქვთ. მომავალ წელს გამწვავდება დაპირისპირება მათ შორის, ვისაც დასავლეთს და არადასავლეთს ვუწოდებთ.

დასავლეთს ყველაზე მეტად ჩრდილოეთ კორეის აგრესიული ტონი და ჩინეთის მსოფლიო ლიდერობისკენ გამალებული ლტოლვა ძაბავს, რაც მომავალშიც გაგრძელდება. დამდეგ წელს, ერთ-ერთ უდიდეს გამოწვევად ირანის ბირთვული პოტენცია და მისი რეალიზაციის დილემა ჩაითვლება, რადგან, საკითხთან დაკავშირებულმა მოლაპარაკებებმა, უკვე, რამდენიმე ჩავარდნა განიცადა. უკრაინის ომმა ირანი რუსეთთან დაახლოვა. ექსპერტები მსოფლიოს აფრთხილებენ, რომ 2023 წელს ირანი საგრძნობლად მიუახლოვდება ბირთვული იარაღის შექმნის შესაძლებლობას, რაც, სავარაუდოდ, ახლო აღმოსავლეთისთვის კარგად არ დამთავრდება.

* * *

ახლა კი, ახალი წელი მინდა მოგილოცოთ, მეგობრებო, და გისურვოთ, გამთლიანდეს და გამდიდრდეს ჩვენი ქვეყანა, ქართველს უხაროდეს საკუთარ მიწაზე დამკვიდრება და გამრავლება, სამყაროს ერებს შორის მოვიპოვოთ სახელი და აღიარება, შევინარჩუნოთ რწმენა და ტრადიცია, მოგვეცეს მეტი პოლიტიკური სიბრძნე, დაგვებედოს ერთიმეორის გატანა და მხარდაჭერა, დავტკბეთ სიცოცხლითა და თავისუფლებით, გაძლიერდეს ჩვენი ოჯახები, შეუყვარდეს მოყვასს მოყვასი, იმრავლოს ქორწილმა და ნათლობამ, აგვიხდეს ლოცვა და სადღეგრძელო. უღრმესი მადლობა ყურადღებისთვის, რასაც მთელი წლის განმავლობაში გრძნობდა საერთაშორისო პანორამის შემოქმედებითი ჯგუფი თქვენგან.

ნუგზარ ბ. რუხაძე.
POSTV

ის, ვინც უკრაინისთვის გმირია, პოლონელთათვის - მტერია

უკრაინის უზენაესი რადას პრესსამსახურმა პოლონური მხარის მოთხოვნით ტვიტერიდან სტეპან ბანდერას დაბადების წლისთავისადმი მიძღვნილი პოსტი წაშალა. ამის შესახებ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, არკადიუშ მულარჩიკმა განაცხადა.

1 იანვარს, ბანდერას დაბადებიდან 114 წლისთავზე, უმაღლესი რადას ტვიტერზე გამოქვეყნდა პოსტი უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ვალერი ზალუჟნის ფოტოთი, რომლის ქვეშაც ბანდერას ერთ-ერთი ციტატა იყო მოცემული.პოსტმა ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია პოლონეთში. 2 იანვარს ორი ქვეყნის მთავრობის მეთაურებს შორის შედგა საუბარი, რის შემდეგაც ბანდერას შესახებ პოსტი უზენაესი რადას ტვიტერიდან წაიშალა.

„ეს იმის ნიშანია, რომ უკრაინელებმა ჩვენი ხმა მოისმინეს. მინდა ნათლად განვაცხადო, რომ უკრაინელი ნაციონალისტების იდეოლოგის, სტეპან ბანდერას პატივისცემა, რომელმაც ვოლინში ათიათასობით პოლონელი მოკლა, მიუღებელია პოლონეთის სახელმწიფოსთვის“, – განაცხადა მულარჩიკმა.

1930-იან წლებში სტეპან ბანდერა გახდა უკრაინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი უკრაინის ტერიტორიებზე, რომლებიც მაშინდელი პოლონეთის ნაწილი იყო. ბანდერა მონაწილეობდა პოლონეთის ხელისუფლების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებებში, რისთვისაც 1936 წელს მას სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

„გერმანული ჯარების მიერ პოლონეთის აღების შემდეგ ბანდერა გაათავისუფლეს, მაგრამ 1941 წელს გერმანელებმა ის გაგზავნეს საკონცენტრაციო ბანაკში უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენის მცდელობისთვის. 1944 წლამდე ბანდერა ციხეში იმყოფებოდა და ვერც პირადად მონაწილეობდა და ვერც უხელმძღვანელებდა უკრაინელ აჯანყებულებს 1943 წლის ვოლინის ტრაგედიაში.

თუმცა, თანამედროვე პოლონეთში, ბანდერას ფიგურა ჩვეულებრივ იდენტიფიცირებულია 30-40-იანი წლების მთელ ანტიპოლონურ მოძრაობასთან და მას ადანაშაულებენ ყველაფერში, რაც პოლონეთში ითვლება „საშინელ უკრაინულ დანაშაულებად“, – წერს უკრაინული მედია.

5 მილიონი რუბლი - დაღუპული ჯარისკაცების ოჯახებისთვის

რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც რუსი სამხედროებისთვის სოციალური გარანტიების მიცემას ითვალისწინებს.

კანონპროექტის მიხედვით, სამხედროების ოჯახებს, რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და ეროვნული გვარდიის თანამშრომლებს უკრაინაში მათი გარდაცვალების შემთხვევაში 5 მილიონი რუბლს (185 000 ლარი) გადაუხდიან. რაც შეეხება დაჭრილებს, მათ რუსეთის ხელისუფლება 3 მილიონ რუბლს (111 000 ლარი) გადაუხდის.

იყო დრო, ცუდი ღვინით მოვაჭრეებს მდინარეში ახრჩობდნენ!

საქართველოში ვაზის მოშენების, ღვინის დაყენების, შემდეგ მისი მოხმარებისა და სუფრის ტრადიციების შესახებ დაუსრულებლად შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ ამ ღვთიურ სასმელთან დაკავშირებული ზოგიერთი ფაქტის ერთად წარმოჩენა, ვფიქრობთ, „საქმეში ჩახედული“ არაერთი მკითხველისთვისაც კი ერთობ საგულისხმო იქნება.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ღვინის ზომიერად მოხმარება ჯანმრთელობისთვის დიდი სარგებლის მომტანია. მაგალითად, ხარისხიანი ღვინო აწესრიგებს ნივთიერებათა ცვლას, ზრდის მადას, ხელს უწყობს კუჭის წვენის გამოყოფას, კუჭში მუავიანობის დონის შენარჩუნებას. მშრალი წითელი ღვინო კი ოდითგანვე იყო გამორჩეული სისხლძარღვებსა და გულზე სასარგებლო ზეგავლენით. აგრეთვე ცნობილია, რომ მისი მოხმარება სისხლში „მავნე“ ქოლესტერინის შემცველობას არეგულირებს. უაღრესად მნიშვნელოვანია მისი უნარი გაზარდოს წინააღმდეგობის გაწევის დონე ისეთი საშიში დაავადებისადმი, როგორიცაა ტუბერკულოზი. ამასთან, მას ქოლერის თავიდან აცილებაშიც შეუძლია დიდი როლის შესრულება. წითელ ღვინოს ორგანიზმიდან რადიონუკლეიდების გამოყვანის არაჩვეულებრივი თვისებაც აქვს, სისხლის დონორებს კი, გაცემულის დროულად აღსადგენად, მის მიღებას უნიშავენ.

მოლოს კი იმის თქმაც შეიძლება, რომ მცირე ოდენობით მიღებული კარგი ღვინო დადებითად მოქმედებს მამაკაცურ ფუნქციაზე.

თავდაპირველად, შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 4 დეკემბერს, ბაქოში, იუნესკოს მიერ ჩატარებული არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიაზე, ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციის უძველეს ქართულ მეთოდს მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

ადამიანებს შორის კეთილმოსურნე, .მეგობრული ურთიერთობების დამყარების თვალსაზრისით ღვინო რომ ერთ-ერთი საუცხოო საშუალებაა, რის დიდებული მაგალითია ქართული სუფრის ძველთაძველი ტრადიცია, ამის მტკიცებას, ცხადია, არ მოვყვებით, მისით მკურნალობის თაობაზე კი რამდენიმე საგულისხმო გარემოებაზე გავამახვილებთ ყურადღებას.

ნებისმიერი ღვინის შეძენისას აუცილებლად **ყურადღება მიაქციეთ ბოთლს.** გაითვალისწინეთ, რომ საბაზროზე ბევრად იაფად ღირებული ვარიანტები, არსებითად, არა ღვინო, არამედ **ღვინის სასმელებია,** რომელთაც მაღალი კალორიულობა კი ახასიათებთ, მაგრამ ორგანიზმისთვის მთლად მავნე თუ არა, ყოველ შემთხვევაში სრულიად უსარგებლოა. თავისთავად კარგი ღვინო არაკალორიულია, თუმცა მადას აძლიერებს.

ქალებისთვის ზომიერ ულუფად ითვლება დღეში 150 მილილიტრი ღვინო, მამაკაცებისთვის – 300 მილილიტრი. ღვინის ეს ოდენობა ხელს უწყობს სისხლში „კარგი“ ქოლესტერინის დონის ამაღლებასა და ამით გულსა და სისხლძარღვებზე დადებითად მოქმედებს. გარდა ამისა, მას ანთების საწინააღმდეგო მოქმედებაც აქვს, თან სისხლის მიმოქცევასაც აძლიერებს.

მედიცინაში **ღვინით მკურნალობას ენოთერაპია ეწოდება.** ანტიმუანგავ ნივთიერებათა მაღალი შემცველობის წყალობით, ნატურალური ღვინო გამაახალგაზრდავებელი თვისებების მქონეა, სასიკეთოდ მოქმედებს ადამიანის ყველაზე დიდ ორგანოზე – კანზე.

ღვინის სამკურნალო დოზა დღეში 05-1 სირჩაა სადილის შემდეგ, მკურნალობის კურსი არაუმეტეს ერთი თვეა, რომლის შემდეგ უნდა შეისვენოთ.

ყველაზე დაბალკალორიულად ითვლება მშრალი წითელი ღვინო. ის ტკბილი არ არის და მისი 100 მილილიტრი სულ 80-100 კკალორიას შეიცავს. სწორედ ასეთი ღვინოა რეკომენდებული ვახშამზე დასალევად.

სამკურნალო თვისებებისდა მიხედვით, ღვინოები შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

– სუფრის თეთრი ღვინოები სასარგებლოა ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, კუჭის დაავადებებისა და ანემიის დროს;

– სუფრის ვარდისფერ ღვინოებს იყენებენ კუჭისა და ღვიძლის დაავადებების, დამთრგუნველი ნევროზების, მაღალი არტერიული წნევისა და გულის უკმარისობის დროს;

– სუფრის წითელი ღვინოები დადებითად მოქმედებენ კუჭის დაავადებების, კოლიტისა და სიმძიმის შეგრძნების დროს;

– ნახევრად მშრალი, ნახევრად ტკბილი და წითელი შუშხუნა ღვინოები ორგანიზმს იცავენ სხვადასხვა ინფექციის, ციებ-ცხელების, გრიპის, მალარიისა და გულის უკმარისობისგან;

თამადა. ჩ3.წ VII–VI სს–ში ვანში აღმოჩენილი ყანწმომარჯვებული თამადის ბრინჯაოს ქანდაკება

– დაძველებული მაგარი და ორდინალური ღვინოები სასარგებლოა ანემიითა და ჰიპერტონიით დაავადებულთათვის.

ორგანიზმისთვის ყველაზე სასარგებლო ალკოჰოლიანი სასმელია მშრალი ნატურალური, განსაკუთრებით კი წითელი ღვინოები. ისინი დიდი ოდენობით მრავალ ვიტამინს შეიცავენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აქვთ ჟანგვის საწინააღმდეგო მოქმედება, მათ შემადგენლობაში შემავალ ბიოფლავინოიდებს კი სოკოს დამთრგუნველი ეფექტი გააჩნიათ, თანაც ზოგიერთი სახეობის კიბოს აღმოცენების რისკსაც ამცირებენ. ცხელი წითელი ღვინო შაქრითა და სანელებლებით კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა გრიპის, ბრონქიტის, ფილტვების ანთების დროს. მაქსიმალური დოზაა 300 მილილიტრი (1,5-2 ღვინის სირჩა).

ფრანგი მეცნიერების გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ წითელი ღვინოების შემადგენლობაში შემავალი ზოგიერთი ნივთიერება პროსტატის კიბოს განვითარებას აბრკოლებს. ამავე დროს, ის **დიაბეტის** პროფილაქტიკასაც უწყობს ხელს, ამცირებს ხანდაზმულობით გამოწვეული **გონებასისუსტის** წარმოშობის რისკს, ანელებს **ფილტვების** დაავადებათა მიმდინარეობას, ეწინააღმდეგება **პათოგენური ბაქტერიებით** დასნებოვნებას. აღსანიშნავია ისიც, რომ წითელი ღვინოების შემადგენლობაში შემავალი ნივთიერება **რესვერატროლი** საუცხოოდ მოქმედებს **გულის სისხლძარღვთა, ნევრულ სისტემებსა** და **შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებზე.** ეს ნივთიერება **დაბერებასაც** ებრძვის და **სიცოცხლესაც ახანგრძლივებს,** რითაც წითელი ღვინოები ჭეშმარიტად სიცოცხლის ელექსირს წარმოადგენენ, ოღონდ მათი მოხმარებისას საჭირო ზომიერების დაცვა.

ზოგადად კი ღვინის შესახებ კიდევ ძალიან ბევრი საგულისხმო ფაქტის მოყვანა შეიძლება, რომელთა შესახებ ჩვენ, ამ ჭეშმარიტად ღვთის ნაბოძევი სითხის რიგით მომხმარებლებს, ბევრი არაფერი გვსმენია. მაგალითად, გერმანელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ **თუკი იმ ოთახში, სადაც კაცი ღვინოს სვამს, განათებას შეცვლით, მისი გემოც შეიცვლება. თურმე, წითელი ღვინო მოწითალო ან მოცისფრო განათებაში უნდა დაილიოს – მაშინ მას გაცილებით უკეთესი გემო აქვს.**

ღვინოსთან დაკავშირებით ასევე შეიძლება ითქვას, რომ ყოველწლიურად მსოფლიოში 300 მილიარდ ბოთლზე მეტს მოიხმარენ;

ყურძენში შაქრის შემცველობა 17 პროცენტი უნდა იყოს, რომ მისგან შვიდგრადუსიანი ღვინო მაინც დამზადდეს; წითელი ღვინო თეთრზე უკეთესი ანტიოქსიდანტია; როცა ღვინოს წყლის გემო დაჰკრავს, ეს ნიშნავს, რომ ყურძენი წვიმიან ამინდშია მოკრეფილი ანდა წყალი აქვს შერეული; ღვინის დეგუსტაციისას ის ორიოდე წუთით პირში გაიჩერეთ, შემდეგ კი გადაყლაპეთ (ან, უმჯობესია, გადმოანერწყვოთ ამისთვის განკუთვნილი სპეციალურ ჭურჭელში).

რეპროდუქციულ ასაკში ქალებს ყნოსვა განსაკუთრებით გამძაფრებული აქვთ, ამიტომ ისინი ღვინის უფრო დახვეწილი დეგუსტატორები (სომელიეები) არიან. კარგი ღვინო პირში გემოს დიდ ხანს ტოვებს, უხარისხოსი კი მალევე ქრება; მძიმე საკვებს ხორციანი (ქვევრში დაყენებული და წითელი ღვინოები) უხდება, ნაკლებად კალორიულს კი – მსუბუქი. გარდა ამისა, წითელ ღვინოს საქონლის, ღორისა და ცხვრის ხორციან კერძებს აყოლებენ, თეთრს – თევზეულსა და ფრინველის ხორცს, ტკბილ ღვინოს – ჩაროზს.

... ღვინოსთან დაკავშირებით რამდენიმე სახალისო ფაქტსაც გაგაცნობთ: მსოფლიოში პოპულარულ ფრანგულ სადესერტო ღვინოს „მუსკატს“ საქართველოდან ძალიან დიდი ხნის წინათ გატანილი ყურძნის ჯიშისგან ამზადებენ. ამ ჯიშის ყურძენი ჩვენში დღესაც ხარობს, მას იმდენად თხელი კანი აქვს, რომ მწიფობისას სკდება და ბუზი ეხვევა, რის გამოც ჩვენმა წინაპრებმა „ბუზის ყურძენი“ შეარქვეს, ხოლო ევროპელები მას „მუსკატს“ ეძახიან („მუსკი“ – ლათინურად „ბუზს“ ნიშნავს).

ჩვენს წელთაღრიცხვამდე 1800 წელს, ბაბილონში გამოსცეს კანონი, რომლის შესაბამისად, ცუდი ღვინით მოვაჭრეებს მდინარეში ახრჩობდნენ. ძველ საბერძნეთში, წვეულებაზე, პირველად ღვინო მასპინძელს უნდა მოესვა, რათა სტუმრებისთვის დაემტკიცებინა, რომ ის უვნებელი იყო; რომის იმპერიის გაფურჩქვნის პერიოდის დასაწყისში, ქალებს ღვინის სმა ეკრძალებოდათ, ხოლო „დანაშაულის ადგილზე“ წამსწრებ ქმარს განქორწინების მოთხოვნაც შეეძლო. ბოლო ასეთი შემთხვევა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 194 წლით დასტურდება; მსოფლიოში ყველაზე ძველი ღვინის ბოთლი კი 325 წლით თარიღდება, რომელიც გერმანიის ქალაქ შპეიერის მიდამოებში ნახეს.

ოთარ ტურაბელიძე

როცა არცოდნა დიდი ცოდვაა!



(მეხუთე გვერდიდან)

ქართველი ერისათვის მიწა-წყლის წართმევის მცდელობას იმდენივე ხნის ისტორია აქვს, რამდენიც იმის ცოდნას დანარჩენი მსოფლიოს მიერ, რომ საქართველო „ღვთის მიერ კურთხეული ადგილია“, ანუ, თავისი ფართობისადმი პროპორციის მხრივ, ბუნებისგან ბევრად უფრო უხვად დასაჩუქრებული ადგილია, ვიდრე დედამიწის დანარჩენი ტერიტორია საშუალოდ. ეს მცდელობა ხორციელდება არა მხოლოდ გეოსტრატეგიული ქმედებების დონეზე (დაპყრობა, დახოცვა, აყრა და ა.შ.), არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის დონეზეც, სახელდობრ, თვით საქართველოს სინამდვილეში იმგვარი „მშვიდობიანი“ დივერსიული ცვლილებების განხორციელების (ან სათანადო მცდელობის) დონეზეც, რომლებმაც შედეგად უნდა მოიტანონ ფაქტობრივი და ფსიქოლოგიური ბმის შესუსტება საქართველოს მიწასა და მის კანონიერ პატრონს, ქართველ ერს (ხალხს) შორის.

ფართოდ უნდა გაცხადდეს საქართველოს საზოგადოების ერთობლივი აზრი, რომ ხელისუფლების განზრახვა უცხოელებისთვის ხელოვნურად გაღატაკებული გლეხების მიწის მიყიდვისა, არის კანონსაწინააღმდეგოდ მოპოვებულის გაყიდვა და რომ ასეთი ნასყიდობები გაუქმდება.

კატეგორიულად დაუშვებელია სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის გადაყვანა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებაში, მისი შემდგომი პრივატიზაციის მიზნით.

ასეთი თვალთმაქცური გზით მიწის გასხვისება ინვესტირება არ არის. ის შეიძლება შეფასდეს როგორც სპეკულაცია, რაც განვითარებულ სამყაროში დაგმობილია.

მოსახლეობის ეს ნება და ეს აზრი, გაფრთხილების ფორმით უნდა მიეწოდოს შემოსახლების მსურველებს, როგორც გაფრთხილება ნაქურდალის ყიდვის გამო, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით.

ილია ჭავჭავაძე უცხოელებზე (ხიზნებზე) გრძელვადიანი მემკვიდრეობითი იჯარის გამოყენებას სთავაზობდა ქართველ საზოგადოებას. დღეს საქართველოში დასაშვებია გრძელვადიანი გასხვისებადი იჯარის (სარგებლობის უფლების გაყიდვა) ფორმის გამოყენება, რომელიც მსოფლიოს უმეტეს დემოკრატიულ ქვეყნებშია გამოყენებული.

საქართველომ სასწრაფოდ უნდა გამოაცხადოს მორატორიუმი (როგორც ევროკავშირის რიგმა ახალმა წევრმა ქვეყნებმა) და შეაჩეროს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გასხვისება (ქვეყნის ევროკავშირში გაწევრებამდე) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე და იმ იურიდიულ პირებზე, რომლებიც საქართველოშია დაფუძნებული, მაგრამ მათში ნებისმიერი მასშტაბით მონაწილეობენ არარეზიდენტი იურიდიული თუ ფიზიკური პირები. ამ მოთხოვნის შესრულება ოდნავადაც არ გააუარესებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, პირიქით, უდიდეს საფრთხეებს აარიდებს მას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი ქვეყანა მიისწრაფის ევროკავშირისკენ და იმედია, რომ ახლო მომავალში გახდება ამ ორგანიზაციის წევრი. ცხადია, წევრობა გულისხმობს გარკვეულ ვალდებულებებს, მათ შორის — კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას მიწის საკუთრების საკითხშიც.

ილია ჭავჭავაძის პარადიგმა, ისტორიული ხედვით განმტკიცებული, მიწისადმი ქართველი კაცის განსაკუთრებული დამოკიდებულების თაობაზე არა მარტო ქართველი ერისთვისაა აქტუალური, არამედ მთელი განვითარებული კაცობრიობისათვის.

ქართველ ერში ეროვნული ინსტიტუტების შენარჩუნებისთვის ტერიტორიულ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ სტაბილურობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

პაატა კოღუაშვილი

გაგრძელდება თუ არა მსოფლიო კრიზისი 2023 წელს?!

2023 წელი მსოფლიო ეკონომიკისთვის არანაკლებ რთული იქნება. სპეციალისტების აზრით, წელს „რეცესია“ ერთ-ერთი ყველაზე ხშირად წარმოთქმული სიტყვა გახდება.

„2023 წელი იქნება მესამე წელი 21-ე საუკუნის ანტირეიტინგში. უარესი იყო მხოლოდ 2020 წელს, როდესაც დაიწყო პანდემია და 2009 წელს, გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ“, — აღნიშნეს Deutche Bank-ის ეკონომისტებმა.

პანდემიის შემდეგ პირველად, 2021 წელს ეკონომიკა 6%-ით გაიზარდა 3%-იანი კოვიდ რეცესიის შემდეგ, მაგრამ ზრდა შენელდა დაახლოებით 3%-მდე 2022 წელს, ხოლო 2023 წელს ეკონომისტები მხოლოდ 2.2%-ს ელიან. ენერგორესურსების ფასების ზრდა რუსეთის აგრესიის პირდაპირი შედეგი იყო, რადგან დასავლეთმა სანქციები დააწესა რუსეთის ნავთობსა და ნახშირზე, ხოლო კრემლმა შეწყვიტა გაზის მიწოდება ევროკავშირისთვის. ევროკავშირი სასწრაფოდ ეძებს რუსული გაზის ალტერნატივას.



აშშ, როგორც მსოფლიოში წამყვანი ნავთობისა და გაზის მწარმოებელი, ბევრად უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე ევროკავშირი, რომელიც 60%-ით არის დამოკიდებული იმპორტზე. მსოფლიოს უდიდესი ეკონომიკის მთავრობა და ცენტრალური ბანკი აცხადებენ, რომ ის თავიდან აიცილებს რეცესიას. ექსპერტები მის ალბათობას 70%-ად აფასებენ. რეცესია რომც მოხდეს, ის ხანმოკლე იქნება, თვლიან Oxford Economics-ის ეკონომისტები.

დასავლეთში ფასები რეკორდული ტემპით გაიზარდა ბოლო 40 წლის განმავლობაში. მთავარი მიზეზი კოვიდია.

„კარგი ამბავი ის არის, რომ ინფლაცია ახლა სწრაფად უნდა დასრულდეს. ცუდი ამბავი ის არის, რომ ბევრ ქვეყანას მოუწევს რეცესიის გავლა ამისთვის“, — თვლიან ბრიტანეთის კვლევითი ცენტრის CEBR-ის ეკონომისტები.

მთავარ საფრთხეებს შორის ეკონომისტები სამს ასახელებენ: ჩინეთი, რომელიც მოულოდნელად გაიხსნა თითქმის სამწლიანი კარანტინის შემდეგ, განიცდის კოვიდ ტალღას, რომლის შედეგები ჯერ კიდევ არ არის აშკარა. თუ ის გაზაფხულამდე ჩაცხრება, ჩინეთიდან ენერგორესურსებზე მოთხოვნა გაიზრდება და მსოფლიო ენერგეტიკული კრიზისისა და ინფლაციის ახალი რაუნდის წინაშე აღმოჩნდება. მეორე, უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომის სავარაუდო ესკალაცია სავსეა მარცვლეულის ექსპორტის შეფერხებით და სურსათზე ფასების ზრდით. მესამე, ამ ორი მიზეზით გამოწვეული ინფლაციის მეორე ტალღა ხელს შეუშლის ცენტრალურ ბანკების დაკრედიტების განაკვეთების გაზრდას.

ამ კატეგორიის პროგნოზების უმეტესობა ორ სცენარს ემყარება: რუსული აგრესიის ესკალაცია, მათ შორის ბირთვული ომი და ჩინეთის თავდასხმა ტაივანზე, რასაც მოჰყვება კონფლიქტი დასავლეთთან.კლიმატის ცვლილება ზრდის ბუნებრივი კატასტროფების ალბათობას და ზრდის მათ შედეგებთან გამკლავების ხარჯებს.

არსებობს ოპტიმისტური სცენარები, რომლებშიც რეცესიის თავიდან აცილება და პრობლემების უმეტესი ნაწილის გადაჭრა შესაძლებელია. ერთი გულისხმობს რუსეთის აგრესიის შეწყვეტას უკრაინის წინააღმდეგ. კიდევ უფრო დაბალია ახალი ტექნოლოგიური გარღვევის შანსები, რომლებიც შედარებულია ინტერნეტის გამოგონებასთან, რომელმაც მსოფლიოს ათწლეულების ზრდა მისცა.

2023 წლის ბოლოდან, ევროპის ქვეყნებში მოგზაურობის წესები იცვლება

დაახლოებით 1,4 მილიარდ ადამიანს, ვიზისაგან გათავისუფლებული 60-ზე მეტი ქვეყნიდან, მოგზაურობის ნებართვა დასჭირდება. განაცხადი გამგზავრებამდე წინასწარ, ელექტრონულად უნდა შეავსონ და 7 ევრო გადაიხადონ.

ETIAS ანუ ევროპაში მოგზაურობის ინფორმირებისა და ავტორიზაციის სისტემა არის ევროპის ქვეყნებში შესვლის მოთხოვნა შენგენის ზონაში ვიზისგან თავისუფალი ქვეყნების მოქალაქეებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან ევროპის 30 ქვეყანაში.

ETIAS-ის გავლის სამართლებრივი პროცედურები 2016 წელს დაიწყო და ბოლო ინფორმაციით, სისტემა სრულად 2023 წლის ნოემბერში ამოქმედდება.

ეს არის სია იმ ევროპული ქვეყნებისა, რომლებიც ETIAS-სს მოითხოვენ: **ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, ხორვატია, კვიპროსი, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, ლატვია, ლიხტენშტაინი, ლიეტუვა, ლუქსემბურგი, მალტა, ჰოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი და შვეიცარია.**

ETIAS-ი მოქმედებს სამი წლის განმავლობაში, შესაბამისად, განაცხადსაც აქვს სამწლიანი ვადა. სამი წლის შემდეგ თქვენ ხელახლა უნდა შეავსოთ ელექტრონული ფორმა. ETIAS განაცხადის შევსებას ელექტრონულად დაახლოებით 10 წუთი დასჭირდება.

თქვენ უნდა მიაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

სახელი, გვარი, გვარი დაბადებისას, დაბადების თარიღი, დაბადების ადგილი, ინფორმაცია თქვენი მოქალაქეობის შესახებ, მისამართი, ფოსტა და ტელეფონის ნომერი, განათლება და სამუშაო გამოცდილება, ევროკავშირის პირველი ქვეყანა, რომლის მონახულებასაც აპირებთ, კითხვები თქვენს ჯანმრთელობაზე (დასაშვებობის ფარგლებში). ომის ქვეყნებში მოგზაურობის შესახებ კითხვები, ხომ არ ყოფილხართ ნასამართლევი ან დეპორტირებული და ა.შ.

მას შემდეგ, რაც სისტემა გადაამოწმებს თქვენს მონაცემებს და დაადგენს, რომ თქვენი ყოფნა წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე უსაფრთხოა, ETIAS-ის ცენტრალური სისტემა გასცემს თქვენს მოგზაურობის ავტორიზაციას და თქვენ მიიღებთ დადასტურებას ელექტრონული ფოსტით.

რატომ აღინიშნება შობა ორჯერ?

რომელია „უფრო სწორი“ თარიღი: 25 დეკემბერი თუ 7 იანვარი?

მსოფლიოს უმეტეს ქვეყანაში ქრონოლოგიური სისტემა მზის გარშემო დედამიწის ციკლურ ბრუნს ემყარება. ამ მზის კალენდარს გრიგორიანული ჰქვია. მას აღნიშნული სახელწოდება მიენიჭა რომის პაპის — გრიგოლ XIII-ის პატივსაცემად, რომლის ბრძანებულებითაც, ზემოთ ხსენებულმა კალენდარმა იულიუსის კალენდარი ჩაანაცვლა. თუმცა, ბევრმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ, მათ შორის — საქართველოს მართლმადიდებელმა სამოციქულო ეკლესიამ, გრიგორიანული რეფორმა არ ცნო და დღემდე „ძველი სტილით“ ცხოვრობს. მაგალითად, შობა საქართველოში აღინიშნება არა 25 დეკემბერს, არამედ — 7 იანვარს. თუ რა განსხვავებაა „ძველ“ და „ახალ“ კალენდრებს შორის, Deutsche Wele-ს სტატიიდან გაიგებთ.

რატომ ჩაანაცვლეს იულიუს კეისრის კალენდარი?

თანამედროვე კალენდარი სათავეს იღებს ძველი რომაული კალენდრიდან, რომელიც ჩვენს წელთაღრიცხვამდე 45 წლის 1 იანვარს იულიუს კეისარმა შემოიღო და მას გარკვეულ ქვეყნებში „ძველ სტილს“ უწოდებენ. იულიუსის კალენდარში წელი 1 იანვარს იწყებოდა. ის 365 დღესა და ექვს საათს მოიცავდა.

თუმცა მრავალწლიანი დაკვირვების შედეგად ასტრონომებმა დაადგინეს, რომ მზის ანუ ტროპიკული წლის საშუალო ხანგრძლივობა (დროის პერიოდი, როდესაც მზე წელიწადის დროების ერთ ციკლს ასრულებს) 365, 2422 დღეს შეადგენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ტროპიკული წელი 11 წუთითა და 14 წამით ნაკლებია იულიუსის კალენდრის მიხედვით განსაზღვრულ ერთ წელზე. ამ შეუსაბამობამ განაპირობა ის, რომ იულიუსის კალენდარში ყოველ 128 წელიწადში ერთი ზედმეტი დღე რჩებოდა. მე-16 საუკუნისთვის კი ამ განსხვავებამ ათი დღე შეადგინა.

სწორედ ამიტომ,1582 წლის 4 ოქტომბერს, მთელ რიგ ქვეყანაში, სადაც კათოლიციზმი იყო აღიარებული, იულიუსის კალენდარი შეიცვალა უფრო ზუსტით – გრიგორიანულით, რომელიც რომის პაპის, გრიგოლ XIII-ის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა. თანდათან მასზე გადაერთო მსოფლიოს თითქმის ყველა სხვა სახელმწიფო. საქართველოში გრიგორიანული კალენდარი 1918 წელს გააქტიურდა. ყველაზე ბოლოს იულიუსის კალენდარი თურქეთმა (1926) და ჩინეთმა (1949) შეცვალეს.

ახალი კალენდარული სისტემის სტრუქტურა

1582 წლის რეფორმა იმაში მდგომარეობდა, რომ ზედმეტი 10 დღე უბრალოდ ამოშალეს. შესაბამისად, ხუთშაბათის 4 ოქტომბრის მეორე დღეს დადგა პარასკევი, რომელიც 15 ოქტომბერი გახდა. ამასთანავე, დროის გამოთვლის სისტემა მზის გარშემო დედამიწის ციკლურ ბრუნვას შეუსაბამეს. წლის ხანგრძლივობად განისაზღვრა 365,2425 დღით, რაც 365 დღეს, 5 საათს, 48 წუთსა და 46 წამს მოიცავს. ამით საშუალო კალენდარული წელი მზის (ტროპიკული) წელს უფრო მიუახლოვდა.

ამასთანავე, 1582 წლიდან დადგინდა ნაკიანი წელი, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ, კალენდარში 29 თებერვლით გამოიხატება. თუმცა ნაკიანი წლების განაწილება ისეთია, რომ ტროპიკული წლის ხანგრძლივობასთან შეუსაბამობები ჯერ კიდევ გარდაუვალია. თუმცა ეს მაჩვენებელი უმნიშვნელოა: გამოთვლების შედეგების მიხედვით, 10 ათასი წლის განმავლობაში ეს განსხვავება მხოლოდ ერთი დღე იქნება.

დგება პერიოდები, როდესაც მზე „ჩერდება“. წელიწადში ორი მზეშუდობაა: ზამთარში, როდესაც მზე ჰორიზონტის ყველაზე დაბალ წერტილშია და ზაფხულში, როდესაც მზე ჰორიზონტის უმაღლეს წერტილშია. შესაბამისად, სწორედ ამ დროს დგება წელიწადში ყველაზე მოკლე დღე (და ყველაზე გრძელი ღამე) და ყველაზე მოკლე ღამე (და ყველაზე გრძელი დღე). ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ზამთრის მზეშუდობა დგება 21 და 22 დეკემბერს, ხოლო ზაფხულის – 21 და 22 ივნისს. სამხრეთ ნახევარსფეროში პირიქით არის: 21 და 22 დეკემბერს ზაფხულის, 21 და 22 ივნისს კი ზამთრის მზეშუდობაა. თუმცა რადგან ოთხ წელიწადში ერთხელ არის ნაკიანი წელი, ეს თარიღები შეიძლება ოდნავ შეიცვალოს.

ძველით ახალი წელი

სხვათა შორის, ძველ დროში ზამთრის მზეშუდობა განსაკუთრებულ მოვლენად ითვლებოდა. მაშინ ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები მრავალი ტომი ყველაზე გრძელ ღამეს სიკვდილისა და ბნელი ძალების ბატონობის უმაღლეს წერტილად აღიქვამდა. როდესაც ზამთრის მზეშუდობა სრულდებოდა და დღე ისევ მატებას იწყებდა, ადამიანებში სიხარული და გართობა იწყებოდა: ისინი „ახალი მზის დაბადებას“ ზეიმობდნენ. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამიტომ დაიწყეს პირველმა ქრისტიანებმა ამ პერიოდში ქრისტეშობის აღნიშვნა.

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბევრმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ არ მიიღო გრიგორიანული რეფორმა და შობას აღნიშნავს არა 25 დეკემბერს, არამედ – 7 იანვარს. ამ ფაქტის არგუმენტი კი მათთვის არის ის, რომ იულიუსის კალენდარი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციით არის ნაკურთხი. ძველი კალენდარული სისტემის დამცველები იმასაც აღნიშნავენ, რომ „ახალ სტილზე“ გადასვლის შემთხვევაში თუ პარალელურად აღდგომის მრწყინვალე დღესასწაულის გამოთვლის ტრადიციული სისტემაც შენარჩუნდება, ბევრი დამნეულობა წარმოიქმნება და უფრო მეტიც, ლიტურგიკული წესების დარღვევაც გარდაუვალი იქნება.

თუმცა, იულიუსის კალენდრის მიხედვით ახალი წლის აღნიშვნა დიდი ხანია ტრადიციად იქცა როგორც მორწმუნეებისთვის, ისე – ათეისტებისთვის. ძველით ახალ წელს, რომელიც 13-14 იანვრის ღამეს დგება, აღნიშნავენ სერბეთში, მონტენეგროში, მაკედონიაში, შვეიცარიაში, მაგრამ განსაკუთრებით რუსეთსა და სხვა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის – საქართველოში.

ხორციელად შობა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი

იესო ქრისტეს ხორციელად შობას განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს მართლმადიდებელი სამყარო და საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც.

ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე იუდეის ბეთლემში იშვა.

მთელი მსოფლიო, წარმართულ რელიგიათა მსახურნი თუ ფილოსოფოსნი მოუთმენლად ელოდნენ იმ სასწაულ ღამეს – მხსნელის მოვლინებას ამ ქვეყნად, რათა ცოდვის ტყვეობაში ჩაძირული სამყარო ნათლობის ემბაზში განბანილი სამუდამოდ შერთვოდა ჭეშმარიტ ღმერთს!

იესო ქრისტეს ხორციელი მშობლები იოსები და მარიამი დავით მეფის ტომისაგან მოდიოდნენ. ისინი ბეთლემში გაემგზავრნენ. იქ კი ღამის გასათევი ადგილი არსად იყო და მის მახლობლად გამოქვაბულს შეეფარნენ. ეს ადგილი უამინდობის დროს პირუტყვის სადგომი იყო. სწორედ აი, აქ გამოქვაბულში იშვა მაცხოვარი!

უფლის დაბადება ანგელოზთა დასმა ღვთაებრივი გალობით ამცნო მწყემსებს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება...“

მწყემსნი გამოქვაბულისკენ გაემართნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ ჩვილი და მისი მშობლებისთვის ეხარებინათ, რაც იხილეს!

უფლის თაყვანისცემად მოგვებიც გამოემგზავრნენ, რომელთაც ვარსკვლავებზე დაკვირვებით ემცნოთ იესოს განკაცება. ბეთლემისკენ მათ ღვთაებრივი ვარსკვლავი მიუძღოდა... მოგვები ბეთლემს ეწვივნენ და იხილეს იესო ქრისტე თავის ხორციელ მშობლებთან ერთად. მათ თაყვანი სცეს უფალს და შესწირეს ძღვენი – ოქრო, გუნდრუკი და მური. ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს ვულოცავთ მაცხოვრის, იესო ქრისტეს ხორციელ შობას!

გიული ლიპარტია

მიხეილ დუნდუა: საპენსიო სესხებზე საპროცენტო განაკვეთი წლიდან წლამდე შემცირდება!

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილის, მიხეილ დუნდუას განცხადებით, პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველებისთვის კეთილსაიმედო პირობების შექმნა გრძელდება.

მისივე თქმით, სახელმწიფო არ დაიშურებს ძალისხმევასა და თანხებს, საპენსიო ასაკის მოსახლეობისთვის პირობები მაქსიმალურად მორგებული იყოს. როგორც მიხეილ დუნდუა ამბობს, სახელმწიფო ასევე გააგრძელებს მუშაობას, რომ საპენსიო სესხებზე დადგენილი საპროცენტო განაკვეთი ძველ სესხებზეც გავრცელდეს.

„საქართველო აგრძელებს მიზანმიმართული, მწყობრი სოციალური პოლიტიკის რეფორმირებას და გაგრძელებას, რასაც ჰქვია კეთილსაიმედო პირობების შექმნა პენსიონერებისა და სოციალურად დაუცველებისათვის. ნაბიჯები, რომლებიც გადაიდგა, ჩვენი მოსახლეობის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება. გახსოვთ, 150-პროცენტიანი სესხი გაიცემოდა პენსიონერებზე და სახელმწიფო პოლიტიკა ყურადღების მიღმა ტოვებდა ამ საკითხებს, მაგრამ ხელისუფლება, რომელიც დღეს მართავს ქვეყანას, ყველაფერს აკეთებს, რათა გაიზარდოს პენსია და იყოს უზრუნველყოფილი სიბერე, ღირსეული პირობები ასაკოვანი ხალხისთვის, აგრეთვე ცდილობს საპროცენტო განაკვეთების დაწევას როგორც პრუდენციული პოლიტიკის დახვეწის, ასევე სოციალური პოლიტიკის გაუმჯობესებით. ეს ფაქტია და ჩვენ წლიდან წლამდე დავინახავთ, რომ მეტად შემცირდება საპროცენტო განაკვეთი სესხებზე და გაიზრდება პენსია.

სახელმწიფო არ დაიშურებს ძალისხმევასა და თანხებს, რათა საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის პირობები მაქსიმალურად მორგებული იყოს. ამ ეტაპზე ახალი ნაბიჯები ყველა ახალ გაცემულ სესხთან დაკავშირებით იმოქმედებს. რაც შეეხება ძველ სესხებს, სახელმწიფო ამ მიმართულებითაც გააგრძელებს მუშაობას, თანამშრომლობას და შევხედოთ, ეროვნული ბანკი, სახელმწიფო, „ლიბერთი ბანკი“ შევძლებთ საერთო გზების გამონახვას, რომ მოსახლეობისათვის პირობების გაუმჯობესება ყველა მიმართულებით გახდეს შესაძლებელი“, – განაცხადა მიხეილ დუნდუამ.

ზუგდიდში ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა

არსებული ინფორმაციით, ავტომობილი ქვეითად მოსიარულეებს დაეჯახა. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები იმყოფებოდნენ.

ანგელოზების მხატვარი

მედეა კეიდიას „ანგელოზების მხატვარს“ უწოდებენ. 36 წლის იყო პროფესიით ჟურნალისტმა მედეამ ხატვა რომ დაიწყო და მიხვდა, რომ მას შემდეგ რაღაც განსაკუთრებული კოსმიური კავშირი აქვს სამყაროსთან.

მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრი 5-დან 22 იანვრის ჩათვლით, მედეა კეიდიას გამოფენას მეორედ უმასპინძლებს. „ანგელოზების გადაფრენა“ თეატრში, პირველად 2014 წელს ჩატარდა. მას შემდეგ, ისევე როგორც მანამდე, მხატვარმა არაერთ ჯგუფურ და საქველმოქმედო გამოფენაში მიიღო მონაწილეობა.

იანვარში კი თქვენ გექნებათ მედნიერება მხატვრის ძველი და ახალი ანგელოზები იხილოთ და იმ კოსმიურ ენერგეტიკას ეზიაროთ, რასაც მისი ნახატები ატარებენ. მედეა კეიდია: – „მადლიერების გამოფენა“ დავარქვი, რათა ჩემი მადლიერება იმ ადამიანების მიმართ გამოვხატო, ვისაც სხვადასხვანაირი ამაგი აქვთ ჩემს ანგელოზებზე. ამ გამოფენის მოწყობის უმთავრესი მოტივაცია ეს არის. მყავს ანგელოზმოყვარეების არმია და მყავს ასევე ანგელოზთქმაგები. ასე რომ „ანგელოზმოყვარეების არმიას“ მიხეილ თუმანიშვილის თეატრში გელოდებით 5-იანვრიდან.

გურამ ბაღდოშვილმა ახალი წლის ღამე კლინიკაში გაატარა

ახალი წლის ღამეს, ცნობილ შეფ-მზარეულსა და რესტორატორს გურამ ბაღდოშვილს ხელში პიროტექნიკა აუფეთქდა და მისი კლინიკაში გადაყვანა გახდა საჭირო. მოგვიანებით, შეფ-მზარეულმა პოსტი გამოაქვეყნა, სადაც საკუთარ ჯანმრთელობაზე ისაუბრა და საზოგადოებას პიროტექნიკის გამოყენებაზე უარის თქმა სთხოვა.

„სალამი ყველას. ძვირფასებო, დიდი მადლობა, რომ შეწუხდით. კიდევ ერთხელ დაამტკიცა უფალმა ჩემდამი სიყვარული. ვარ მხნედ და ძლიერად, უფალი გვფარავდეს, ამინ! ხალხნო, არ იყიდოთ პიროტექნიკა, ფოერვერკები, მაშხალები, სოლისტები. ძალიან ცუდი ხარისხის არის შემოსული. პალატაში 3 სული ვწევართ, ერთნაირად დაზიანებული. ფოტოებს არ ვასაჯაროებ ჯერ, მაგრამ აუცილებლად, ჩემ დანაშაულს ვაღიარებ, რომ სისულელე ჩავიდინე და მაგალითი აგერ ვარ“, – წერს ბაღდოშვილი.

პიროტექნიკის აფეთქებით შეშინებული კატა

ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მაშველები ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩაზე კატას დაეხმარნენ, რომელიც 10-12 მეტრის ხიდან ჩამოსვლას თითქმის სამი დღის განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდა. როგორც ჩანს, პიროტექნიკის აფეთქებით გამოწვეული შიშის გამო, კატა ხეზე აძვრა, თუმცა საფრთხის გადავლის შემდეგ ჩამოსვლას ვეღარ ახერხებდა.

მაშველებმა კატა, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, უსაფრთხოდ ჩამოიყვანეს და მასზე მზრუნველ ადამიანს ჩააბარეს. ხშირად გვეკითხებიან, რად უნდა კატას ხიდან ჩამოსვლაში დახმარება, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე.ძირითადად, ძაღლებისგან შეშინებული კატა ხეს აფარებს თავს, მაგრამ სიმაღლის შიშის გამო, ზოგჯერ 4-5 დღეც კი, მშიერ-მწყურვალი, ადამიანების დახმარების იმედად კვლავ ხეზე რჩება.

შინაური კომპანიონი ცხოველების დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკაშირდეთ ცხელი ხაზის საშუალებით – 032 2 421 424.

„ბომბი კვარა“

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყანა ცდილობს გარკვეული რეგულაცია შემოიღოს ფოიერვერკებისა და მაშხალების გამოყენების წინააღმდეგ, ახალი წლის ღამე ფოიერვერკების და ხმაურის გარეშე უკვე წარმოუდგენელია. იტალიაში, ნეაპოლელებმა კი ხვიჩა კვარაცხელიას სახელობის ფოიერვერკი „ბომბი კვარა“ აამოქმედეს.

ნეაპოლის პოლიციის ყურადღების ცენტრში მოექცა „კვარა ბომბი“, რომელიც შედგება 500 გრამი სუფთა აკრძალული ფეთქებადი ნარევისგან. კარაბინიერები აფრთხილებენ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებს, რომ „ნაპოლის“ ამჟამად ყველაზე პოპულარული ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას სახელობის „ბომბი კვარა“ ძალიან საშიშია და სთხოვენ მათ, თავი შეიკავონ მისი გამოყენებისგან.

პრესა კი აღნიშნავს, რომ „ბომბი კვარა“ ბევრად უფრო მძლავრი და, შესაბამისად საშიშია, ვიდრე მისი წინამორბედები: „ბომბი მარადონა“, „ბომბი კარეკა“, „ბომბი ძოლა“, „ბომბი კავანი“ და „ბომბი იგუაინი“. საბედნიეროდ, პოლიციამ, საშიში ასაფეთქებელი საშუალება უკვე ამოიღო. იმედია, რომ „კვარამანია“ მომავალში მშვიდობიანად გაგრძელდება.

პრინცმა ჰარიმ თავის სათქმელს ავტობიოგრაფიულ წიგნში მოუყარა თავი

პრინცი ჰარის ავტობიოგრაფიული წიგნი, რომელიც სავარაუდოდ დეტალურად ასახავს მის უთანხმოებას უფროს ძმასთან პრინც უილიამთან, 2023 წლის 10 იანვარს გამოვა. მანამდე კი სამეფო ოჯახის „გარიყულმა“ წევრმა ორი ინტერვიუ ჩაწერა ბრიტანეთის და ამერიკის წამყვან ტელეარხებთან (ITV და CBS).

ორივე ინტერვიუ 8 იანვარს გავა ტელესივრცეში, თუმცა მანამდე გავრცელდა რამდენიმე ამონარიდი გადაცემებიდან, სადაც უინძორების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამეფო ოჯახის წევრებს შერიგებისთვის ნაბიჯიც კი არ გადაუდგამთ. პრინცი აცხადებს, რომ მას უღალატეს: **– „ბოლო ექვსი წლის განმავლობაში გვეუბნებოდნენ: ჩვენ არ შეგვიძლია გამოვაქვეყნოთ განცხადება თქვენს დასაცავადო, მაგრამ ეს არ ეხებოდა ოჯახის სხვა წევრებს, დგება მომენტი, როდესაც დუმილი ღალატად იქცევა“.**

ITV ირწმუნება, რომ ინტერვიუ ეხება პრინც ჰარის პირად ურთიერთობას და მანამდე გამოუქვეყნებელ დეტალებს მისი დედის, უელსის პრინცესას, დიანას გარდაცვალებას. თუ მეგან მარკლისა და პრინც ჰარის ცხოვრებას გადავხედავთ და მათ მიერ „სამეფო ოჯახის თეთრეულის გამოფენებსაც“ გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ ამ წიგნის გამოსვლის შემდეგ სამეფო ოჯახი, შესაძლოა საკუთარმა შთამომავალმა კიდევ ერთხელ სკანდალის წინაშე დააყენოს.

რუსუდან ქობულია

კარნავალი ორწლიანი პაუზის შემდეგ

პანდემიით გამოწვეული ორწლიანი პაუზის შემდეგ, კეიპტაუნში კარნავალი ჩატარდა. სანახაობაში 20 ათასამდე ადგილობრივი მუსიკოსი მონაწილეობდა. მუსიკალური შოუ ტრადიციულად, ქალაქის ცენტრში გაიმართა.

დღესასწაული საფუძველს კოლონიალური ეპოქიდან იღებს და მას მეორე ახალ წელსაც უწოდებენ. დღეისთვის ფესტივალი სამხრეთ აფრიკის კულტურულ სიმბოლოდ ითვლება. ზეიმი რამდენიმე კვირა გრძელდება და ქვეყნის საუკეთესო ხელოვანები, თავიანთი შემოქმედებით ერთმანეთს ეჯიბრებიან.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟანჟავაძის გამზირი №17ი

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 9 იანვარს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7038; ევრო - 2.8498;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2216;
100 რუბლი - 3.6770; თურქული ლირა - 0.1443;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5935;
1000 სომხური დრამი - 6.7849

ამინდი 5 იანვრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე 0, დღე +12
მთიანი რაიონები - ღამე -5, დღე +9
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +13
მთიანი რაიონები - ღამე -3, დღე +9
თბილისი: ღამე +5, დღე +11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge